

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექსანდრე ელვარიშვილი

**XX საუკუნის ცხინვალის  
ლიტერატურულ-კულტურული  
ცხოვრების ისტორიისათვის  
(ნაწილი II)**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 2004

ნაშრომი წარმოადგენს მეორე ნაწილს ვრცელი მონოგრაფიისა, რომელიც მიზნად ისახავს ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების შესწავლას XIX საუკუნის ბოლო წლებიდან XX საუკუნის ჩათვლით.

მთლიანობაში მონოგრაფია მოიცავს ქართულ-ოსური (ნაწ. I) თუ ქართულ-ებრაული (ნაწ. II) კულტურული თანაცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. გარდა ამისა, წარმოაჩენთ მეოცე საუკუნის ცხინვალის ხელოვნების მეცნიერულ (ნაწ. III), ჟურნალისტურ თუ საგანმანათლებლო (ნაწ. IV) ტრადიციებს.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ქართულ-ებრაული ლიტერატურულ-კულტურული თანაცხოვრება აღნიშნულ პერიოდში.

განკუთვნილია როგორც ლიტერატურათმცოდნეთა, ისე სტუდენტი ახალგაზრდობისა და საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

იბეჭდება ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო  
საბჭოს რეკომენდაციით

რედაქტორები: პროფ. ნ. ტაბიძე

პროფ. ჯ. აჯიაშვილი

რეკომენდატორები: პროფ. შ. ქურდაძე

დოც. ზ. ცოტნიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

© ალ. მღებრიშვილი

საუკუნეებით ნაბრძნავი მებღბრობა

„ებრაელმა ხალხმა თავის ისტორიულ ბავშვობაშივე გამოსცადა საშინელი ტყვეობის სუჯხი, მაგრამ მანვე აუგო ხელთუქმნელი ძეგლი თავისუფლებასა და დემოკრატიას. ამით კაცობრიობა დიდად არის დავალებული ბიბლიის შემქმნელი ერისაგან“.<sup>1</sup>

არაერთხელ თქმულა და დაწერილა ქართველთა და ებრაელთა იმ მრავალმხრივ კულტურულ თუ ლიტერატურულ ურთიერთობებზე, რომლებიც ათეულობით საუკუნეებს ითვლის. ქართველი ერი ყოველთვის ქომაგად ედგა და, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გათვალისწინებით, უხსოვარი დროიდან მფარველობდა ებრაელთ.

ეს ტრადიცია საუკუნეებს გადმოჰყვა და დღეს თამამად შეგვიძლია გავიზიაროთ ზ. ჭიჭინაძის აზრი: „საზოგადოდ ქართული მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათა მდგარა ებრაელთა შესახებ... ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა წინაშე ვალმონდილია და ამაგდარი“.<sup>2</sup>

ტრადიციები კიდევ უფრო დაიხვეწა და გაღრმავდა თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ. კერძოდ, მკითხველს კიდევ ერთხელ გვსურს შევახსენოთ დიდი ილიას ურთიერთდამოკიდებულებაზე ებრაელებთან. აქვე დავსძენთ, რომ ეს ურთიერთობა მრავალ საინტერესო ფაქტს ითვალისწინებს.

თავის საინტერესო წერილში – „ებრაელთა საკითხზე“, ღრმად ჩაფიქრებული ილია სწუხს ისრაელი ერის უბედურებაზე. სწუხს სხვა ხალხების მათდამი ცივ, ხშირად უარყოფით დამოკიდებულებაზე და გულნატკენი აცხადებს: „არც ერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია.“

<sup>1</sup> ჯ. აჯიაშვილი, გამოიღვიბე ქნარო, „ივერია“ (ქართულ-ვეროპული ინსტიტუტის ჟურნალი), თბილისი-ბრიუსელი, 1993, №2, გვ 61.

<sup>2</sup> ზაქარია ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1990. საგულისხმოა, რომ ზ. ჭიჭინაძის დასას. ნაშრომი 1990 წელს დაიბეჭდა ხელმეორედ რატომღაც შესწორებული სათაურით პირველად იგი ავტორმა გამოაქვეყნა 1904 წელს სახელწოდებით – „ქართველი ისრაელნი საქართველოში“.

ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდან გაუსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე, ჩათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება. აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყოველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურ ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყოველნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გახდეს მსხვერპლი იძულებისა და წამებისა. ამდენი ხანია ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადოს. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაელებს – ვითარცა ერს, სდევნიდნენ – ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის სჯულის მალიარებელთ, სდევნიდნენ ვითარცა უსამართლო ეკონომიური წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მწაგვრელებს. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი“<sup>1</sup>

იღია ჭკვევაძეს მკაფიოდ და სრულყოფილად აქვს დასურათებული იმ ობიექტურ მიზეზთა ერთობლიობა, რომელმაც განაპირობა მსოფლიოს ხალხების უსამართლო და სასტიკი დამოკიდებულება ებრაელი ერისადმი.

განსაკუთრებით უარყოფითად ეკიდება იგი ე.წ. ანტისემიტურ მოძრაობას. ეს მოძრაობა ფართოდაა გაშლილი მაშინდელ ევროპაში და ცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი. იღია გაცხებულია ევროპის განათლებული ინტელიგენციის იმ ერთი ნაწილის პოზიციით, ანტისემიტუზმის გავლენის ქვეშ მოქცეულნი, ბრმად რომ იბრძვიან მიზნის მისაღწევად. მოუწოდებს მათ გონიერებისაკენ და წერს: „განათლებულს საზოგადოებას დიდი გავლენა აქვს ევროპის ყოფა-ცხოვრებაზე. ამ ნაწილს საზოგადოებისას შეუძლიან თავისი კვალი დააჩნოს ებრაელთა ბედსა და უბედობას“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ი. ჭკვევაძე, თხზულებანი, თბილისი, 1984, /შემდგ. მ. ლუბანიძე/, გვ. 891.

<sup>2</sup> იქვე.

რასაკვირველია, ქართველმა ებრაელებმა დადებითად შეაფასა ის დიდი ამბავი, რაც ამ პერიოდის მოაზროვნე ქართველ ინტელიგენციას, მათ სულიერ და ზნეობრივ ორიენტირს – დიდ ილიას მიუძღოდა ისრაელთა მხარდაჭერისა და ინტერესების დაცვის კეთილშობილურ საქმეში. საქართველოში მოსახლე ნაწილი ებრაელი ერისა ძალ-ღონეს არ იშურებდა მიეგო სიკეთე სიკეთის წილ. გვერდში უდგა ქართველ საზოგადოებას და მის ჭირსა და ღზინს იზიარებდა. ამას ადასტურებს ის დიდი თანაგრძნობაც, რომელიც გამოიხატა მათი მხრიდან 1907 წელს დიდი მოღვაწის არაადამიანური მკვლელობის შემდეგ.

თბილისში ებრაელთა სალოცავში, სადაც გადაიხადეს ი. ჭავჭავაძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა თბილისელ ებრაელთა რაბინი: „დღეს დაენიშნეთ ჩვენი დიდებული პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის ქართველი პოეტის ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად, რომელზედაც მთელი ქართველობა სტირის და მოსთქვამს... სიტყვა არ მოიძებნება ქართველი ერის ღრმა მწუხარების გამოსათქმელად. ჰოი, პატივცემულო თანამოძმენო! ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენმა ერმა, თუ არა ჩვენ ებრაელებმა ქართველი ხალხის უბედურებას, რომელმაც დაჰკარგა ძვირფასი ილია გრიგოლის ძე და მასთან ერთად მისი ეროვნული წარმომადგენელი“<sup>1</sup>.

იმავ დღეებში ქუთაისელ ებრაელთა და მათი რაბის – ელუაშვილის სახელით თბილისში ჩამოვიდა დეპეშა, რომელიც დაახლოებით მსგავსი შინაარსისაა: ქუთაისის ებრაელების საზოგადოება ღრმად აღმფოთებულია დიდებული ქართველი მოღვაწის – ილია ჭავჭავაძის მხეცური მკვლელობით. ილია თავისი მოღვაწეობით აერთებდა წარჩინებულსა და უბრალო კაცის შვილს, ამაღლებულსა და დაბეჩავებულს. საყვარელი მასწავლებლის ხსოვნა სამარადისოა.

მრავალჭირნახულმა საქართველომ დაჰკარგა კიდევ ერთი სასიქადულო შვილი, კაცთმოყვარეობის, ერთა შორის მეგობრობისა და პატივისცემის უდიდესი გზამკვლევი, ბეჩაეთა ნუგემისმცემელი, რომელ-

<sup>1</sup> ალ. მღვინიშვილი, ილია ებრაელთა შესახებ, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №6/251.

იც დიდი გულისტკივილით დაიტირა ებრაელმა ერმაც და მისი სახელი თავის ხსოვნაში უკვდავყო საუკუნოდ.

ქართულ-ებრაული ურთიერთობა ოცდაექვს ასწლეულს ითვლის. ეს მხცოვანი, მაგრამ ახალგაზრდა, ენერგიითა და შემართებით აღსავსე ურთიერთობა მოიცავს მრავალრიცხოვან საინტერესო და ქართულ-ებრაული კეთილი დამოკიდებულების კიდევ უფრო გაღრმავების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ფაქტებს.

ამ თემაზე ყურადღების გამახვილებისას ძირითადად ვეყრდნობით ქართველი ერის მოჭირნახულე, სასიქადულო შვილთა ლიტერატურულ-შემოქმედებით მეგვიდრეობაში მოძიებულ მასალებს. ვფიქრობთ, ისინი ინტერესმოკლებულნი არ იქნებიან ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ცნობილი ქართველი მწიგნობარი და ქართული წიგნის დიდი გულშემატკივარი ზაქარია ჭიჭინაძე უაღრესად ყურადსაღებ ცნობებს გვაწვდის ქართველ ებრაელთა შესახებ ნაშრომში: „ქართველი ებრაელები საქართველოში“. ვიდრე ამ თემაზე განვავრცობდეთ საუბარს, მოვუსმობთ რამდენიმე შტრიხს ზაქარიას პორტრეტისთვის.

„მეტად მრავალმხრივია ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა. ჩვენ ვიტყვი: საქართველოში შეიძლება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ გაუკეთებია იმდენი, რამდენიც ზაქარიამ შესძლო. რიცხვი არა აქვს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნებს. თვით გამომცემელიც კი ვერ ახერხებს მათ ჩამოთვლას... იგი თვითონ წერდა, თვითონ აწყობდა, თვითონ ბეჭდავდა, თვითონ ავრცელებდა. ზაქარია ჭიჭინაძის პორტრეტი საკმაოდ ნათელია. იგი არის წიგნის რაინდი“<sup>1</sup> — ასე აფასებდა მას დიდი გალაკტიონი.

ზ. ჭიჭინაძეს ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოსათვის უაღრესად რთულ ვითარებაში მოუხდა. ურთულესი იყო და უდიდეს სიძნელებებთან დაკავშირებული საქმე /სახალხო წიგნების გამოცემა/, რომელსაც ჯერ კიდევ ოცდაერთი წლის ჭაბუკმა მოკიდა ხელი. თუმცა, ჯობს თვით ზ. ჭიჭინაძეს მოვუსმინოთ: „ქართველნი სრულებით არ ბეჭდავდნენ სახალხო წიგნებს, თუმცა ეს მათთვის მეტად დიდ საჭიროებას შეადგენდა. მთელი წლები ისე გადიოდა, რომ ქართველ

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. XII, 1975, გვ. 50.

მდაბიოთა სასარგებლოდ ერთი ანბანის წიგნიც არ დაბეჭდილა, მართალია, ხანდისხან რუსულ-ქართულ „რაზღავორის“ წიგნებსაც ბეჭდავდნენ, მაგრამ ყველა იგინი ისე ძვირად ფასობდნენ, რომ მათს ყიდვას საწყალი კაცი სულ ვერ შესძლებდა“.<sup>1</sup>

ამ ვითარებაში ზაქარიამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო მშობლიური კულტურის წინსვლას. საკმარისია, თუნდაც აღინიშნოს, რომ იგი სამასამდე წიგნისა და ათასობით საგაზეთო პუბლიკაციის ავტორია. მკითხველის გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ თბილისში სპეციალური წიგნის სავაჭროს მფლობელი, ათიათასობით ქართული წიგნის გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე მთელი არსებობის მანძილზე მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა.

როგორც ჩანს, გამუდმებულმა უსახსრობამ მის იერ-სახესაც დააჩნია კვალი. ქართული კულტურის მოამაგე და სამშობლოს დამოუკიდებლობაზე მეოცნებე, იმ პერიოდის გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი ვლასა მგელაძე იგონებს: „შემოვიდა ერთ დღეს ჩვენთან, სტამბაში, ერთი კაცი, ჩაგლეჯილი, წვერ-ულვაშ გაბურძნული, წიგნებით და გაზეთებით ჯიბეში, ხელში დახეული ქოლგით“...<sup>2</sup>

თითქმის იმავეს იმეორებს ბატონი ლევან ასათიანი, როდესაც წერს: „ხშირი სქელი წვერ-ულვაშში, გაჭლარავებული სახე, დანაოჭებული, დაღარული, დროისაგან დაჭმუჭნული სქელი წარბები დასწოლიან შავს, ჩაბინდულ თვალებს. მოკლე და ნელი ნაბიჯით მოდის ქუჩაში. ხელთ გაზეთები ან ძველი წიგნები უპყრია“...<sup>3</sup>

მიუხედავად მისი ასეთი ყოფისა, „თუ შეატყობდა მყიდველი ღარიბი იყო და ფულის გადახდაზე ყოყმანობდა, წიგნს უფასოდ აძლევდა. იგი ცნობილი იყო იმიტაც, რომ უსახლკარო მწერლებს, დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს და საერთოდ, ღარიბ ინტელიგენციას თავის ბინაზე შეიფარებდა ხოლმე“.<sup>4</sup>

ასევე, ცნობილი ფაქტია, რომ ზ. ჭიჭინაძე მძიმედ განიცდიდა

<sup>1</sup> ი. მარუშაძე, ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, თბილისი, 1903.

<sup>2</sup> ვ. მგელაძე, მოგონებანი, ნაწ. II, პარიზი, 1972, გვ. 28.

<sup>3</sup> ლ. ასათიანი, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949.

<sup>4</sup> გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი – გამომცემელი, ბუკონისტი, თბილისი, 1983, გვ. 213.

ოსმალეთის ზეწოლას აჭარაზე და ქართველთა გამაჰმადიანებას. ამ-  
იტომ იგი საკუთარი ხარჯებით ბეჭდავდა ისტორიული, რელიგიური  
შინაარსის მქონე მასალებს, „ვეფხისტყაოსანს“, ხალხურ ლექსებს  
და უფასოდ ავრცელებდა ხალხში.

ჩვენს ნათქვამს, წიგნების უსასყიდლოდ გავრცელების ფაქტების  
უტყუარობის შესახებ ადასტურებს იმ პერიოდის ქართულ პრესაში  
დაფიქსირებული ცნობები.<sup>1</sup>

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ზ. ჭიჭინაძის აქტიურმა  
მეცადინეობამ სასურველი შედეგი გამოიღო. ქართულმა წიგნმა იქ  
მკვიდრი საფუძველი ჩაიყარა. მომრავლდა ქართული წიგნის დამ-  
ფასებელი და გაჩნდა მისი კითხვის დაუოკებელი წყურვილი.

ზ. ჭიჭინაძის ღვაწლის დასაფასებლად საქართველოს მწერალთა  
კავშირის ინიციატივითა და ხელშეწყობით მთელს საქართველოში  
აღინიშნა /1922/ ქართული ლიტერატურისა და წიგნის დიდი მოამ-  
აგის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ამ ფაქტთან  
დაკავშირებით დაიბეჭდა მწერალთა კავშირის საბჭოს მოწოდება  
ერისადმი. მასში ნათქვამია:

„ქართული წიგნი სულია საქართველოს შემოქმედებისა, როდე-  
საც მისი ისტორია დაიწერება, იგი იქნება არა მარტო წიგნის,  
არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვნენ და არიან  
საქართველოში მწიგნობრობის რაინდები, ისინი უანგაროდ ემსახ-  
ურებიან მისი აყვავებისა და აღორძინების საქმეს. მათ შორის ყვე-  
ლაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე. 50 წლის გან-  
მავლობაში მოღვაწეობს ეს რაინდი ქართული წიგნისა. როდესაც  
იგი ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ  
საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით გატაცებული პიროვნებანი.  
ზაქარია ჭიჭინაძე თავდავიწყებით შეუდგა უკეთილშობილეს საქმეს:  
მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით.  
მან მრავალი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას, მთაწ-  
მინდის უბნები კიდევ ინახავენ ლეგენდებს იმის შესახებ, თუ ვის

<sup>1</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ვაზ. „თერია“, 1887 წ., №186, 1892 წ., №240, 1993  
წ., №195, №251, 1900 წ., №116. ვაზ. „დროება“, 1880 წ., №214, 1882 წ. №25 და ა.შ.

<sup>2</sup> მხედველობაში ვაქვს აჭარა და მისი მიმდებარე ტერიტორია.



ჭერქვეშ აფარებდა თავს ჩვენი დევნილი ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა ლიტერატურაში, პოლიტიკაში და სხვ. ჩვენ არ მოგვწყინდება ამ სახელების ჩამოთვლა. ესენი არიან საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიების ლიდერები, პოეტები, ბელეტრისტები, მეცნიერები, პროფესორები. მათი რიცხვი ასობით ჩამოითვლება. უფრო მეტია მათი რიცხვი, რომელსაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ ზაქარია ჭიჭინაძესთან.

სამაჰმადიანო საქართველოში პირველად შეიჭრა ქართული წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით. იქ მშობლიური ენის ადდგენის საქმეს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მან. მას პირველს ეკუთვნის აგრეთვე წერილები ქართველი კათოლიკეების შესახებ. მან პირველად დაწერა ქართველი ისრაელების ისტორია...“

ზემოთ აღნიშნული ნაშრომი ქართველ ებრაელთა შესახებ ავტორმა გამოაქვეყნა 1904 წელს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეფის რუსეთი ყოველთვის დიდი მონღომებით ცდილობდა სამუდამოდ მოეშოო ნებისმიერი არარუსი ერის ყოველგვარი ეროვნული თვითშემეცნების თუნდაც სულ მცირე გამოვლინება. ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე იგი არავის და არაფერს ზოგავდა. სავსებით ბუნებრივია, მსგავსი პოლიტიკა ხორციელდებოდა ებრაელთა მიმართაც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა ეკატერინე მეორის მეფობის შემდეგ. ანტისემიტიზმმა საჯაროდ, ოფიციალურად აიხსნა აღვირი და სისტემატური ხასიათი მიეცა ისეთ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ აქტებს, როგორც იყო ებრაელთა საცხოვრებელი ადგილების მკაცრი შემოზღუდვა, აკრძალვა სოფლად მათი ცხოვრების, მათ მიერ მიწის შეძენისა, სახელმწიფო სამსახურში შესვლისა და მისთ.

გასული საუკუნის მიწურულს ანტისემიტურმა მოძრაობამ რუსეთში კულმინაციურ მწვერვალს მიაღწია. როგორც მკვლევარი ვ. ჩიქოვანი მიუთითებს: „მეფის მთავარობის მოხელეებმა ანტიებრაული განწყობილების გასაღრმავებლად ათასგვარი ძველი და ახალი მონაჩმანის გავრცელებას მიჰყვეს ხელი. ისინი იმპერიის ხალხების უმძიმეს მდგომარეობაში ყოფნას ებრაელებს აბრალებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მოსახლეობის დაბალი ფენები დაეპირ-

ისპირებიანათ თავად უბადრუკ მდგომარეობაში მყოფ ისრაელის შვილებთან. აღვირახსნილი კამპანიების ინსპირატორები პრესაში, „მხატვრული“ ნაწარმოებების ფურცლებზე, სხვადასხვა საკრებულოებსა თუ სასამართლოებში ებრაელებს ბრალს სდებდნენ ქრისტეს და მისი მიმდევრების რიტუალურ მკვლელობაში, პასეჟის პური-სათვის ქრისტიან ყრმათა სისხლის გამოყენებაში, მართლმადიდებელთა სალოცავების შებილწვასა და უთვალავ სხვა გამოგონილ უმსგავსობაში. სამწუხაროდ მსგავს „მოღვაწეთა“ რიგებში აღმოჩნდნენ რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც — მწერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები, ღვთისმეტყველები. თვითმპყრობელობის მზაკვრულ პოლიტიკას შემზარავი შედეგი მოჰყვა. გასული საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსეთის სამხარეო და დასავლური გუბერნიები ებრაელთა სისხლიანი რბევის ასპარეზად გადაიქცა.“<sup>1</sup>

საბედნიეროდ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველ ერს მსგავსი რამ არასოდეს უკადრია. ქართველი მოაზროვნე ინტელიგენცია კი თავიდანვე ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებული ურთიერთკეთილგანწყობის საუკუნეების გამოცდილებით ნაბრძმედი ტრადიციების დაცვის საგუშაგოსთან დადგა. ამ პერიოდის ქართული პრესა გადატვირთულია მსგავსი შინაარსის საგაზეთო მასალებით.<sup>2</sup>

მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს სანიმუშოდ.

„ამ ერთი თვის წინათ ჩვენს ქალაქში გავარდა ხმა, რომ ურიები უნდა გადაასახლონო, ახალმა პოლიცემისტერმა რაღაც კანონი მონახაო, რომლის ძალითაც ურიებს უფლება არა აქვთო, რომ ქალაქში იცხოვრონო... ამ ხმის გავრცელებამ, მართალი გითხრათ, ჩვენ ცოტათი როდი გაგვაკვირვა... დიდი უსამართლობა და შეუბრალებლობა იქნებოდა, რომ ერთ დღეს ეთქვათ ამათთვის /ქართველ ებრაელთათვის/: მიატოვეთ თქვენი ყოველივე ქონება, აებარგენით, და მიბრძანდით აქედანაო!“ — წერდა გაზეთი „დროება“,<sup>3</sup> 1877 წელს.

<sup>1</sup> ე ჩიქოვანი, ქართველი მწიგნობარი, თბილისი, 1990.

<sup>2</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. გაზ. „ივერია“, 1889 წ., №186; გაზ. „დროება“, 1876 წ. №103, 1877 წ., №208; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., №339, 1900 წ., №1256, 1902, 1958 და ა.შ.

<sup>3</sup> გაზ. „დროება“, 1877, 9.III.

ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითები აქვს დაფიქსირებული ჟურნალ „ციცკარის“ ფურცლებზე თ. ჩხენკელს.<sup>1</sup> კერძოდ, ამ პერიოდში დიდი გასავალი აქვს, როგორც ანტიისემიტური წერილების ბეჭდვას<sup>2</sup>, ისე მსგავსი შინაარსის პიესების დადგმასაც.

„ერთი ასეთი „ტრუპა“ ქუთაისსაც ეწვია. „ივერია“<sup>3</sup> გვაუწყებს: 5 მაისს, 1901 წელს, საღამოს ქუთაისის თეატრში ომარსკის ტრუპამ ითამაშა პიესა „კონტრაბანდისტები“ ანუ „ძენი ისრაელისანი“. როცა თამაში დაიწყო და ფარდა ასწიეს, გალერეაზე ჯგუფად მჯდომარე სტუდენტებმა ასტეხეს ისეთი ყვირილი, რომ პიესის მოსმენა შეუძლებელი შეიქნა... პოლიციის ბოქაული ცდილობს დააწყნაროს სტუდენტები... სტუდენტებმა უყვირეს: თუ გნებავთ დაგვატუსაღეთ, ძალით გაგვიყვანეთ და ჩვენის ნებით კი არ გავალთ, სანამ ამ საზიზლარს პიესას სცენიდან არ ააღებინებთ“. სტუდენტმა ნიკო ლორთქიფანიძემ კი – თავისი ამხანაგების სახელით, პარტერში მყოფ საზოგადოებას შემდეგი სიტყვით მიმართა: „ესთხოვ პატიოსანს საზოგადოებას ნუ მოისმენს ამ საზიზლარ პიესას, რომელიც დრამატულ ხელოვნებას არცხვენს, დამამცირებელია ერისა და შეურაცხმყოფელი სარწმუნოებრივი გრძნობებისა... ვინც თქვენგანი რიგიანია, თეატრიდან უთუოდ გავა, ხოლო საძაგელნი და ფლიდნი დარჩებიან“.<sup>4</sup>

წარმოდგენა ჩაიშალა.

გარდა ნიკო ლორთქიფანიძის გამოსვლისა, იმავე ავტორის /თ. ჩხენკელი/ დასახელებულ პუბლიკაციაში მოხმობილია ივანე გომართელის, მიხეილ ჯავახიშვილის საპროტესტო გამოსვლები პრესის საშუალებით ებრაელი ერის დასაცავად, ნინო ჩხეიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვა მოღვაწეთა ღვაწლი ამ ორი ერის მეგობრული, ძმური ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

რასაკვირველია, საქართველოში მცხოვრები ებრაელებიც, რომ-

<sup>1</sup> თ. ჩხენკელი, ქართული პრესა და ებრაელთა საკითხი, ჟურნ. „ციცკარი“, 1990, №4, გვ. 134.

<sup>2</sup> გარდა პრესაში გაბნეული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებისა, ამავე პერიოდში /1880/ რუსეთში გამოსულას იწყებს ჟურნ. „ანტიისემიტური რვეული“.

გაზ. „ივერია“, 1901, №206.

<sup>4</sup> თ. ჩხენკელის დასახ. ნაშრ., ჟურნალი „ციცკარი“, გვ. 137.

ლებიც ახალი სინაგოგების მშენებლობით<sup>1</sup> იყვნენ დაკავებული ჩვენთან, მაშინ როცა, ვთქვათ, იქვე, მეზობელ რუსეთში მათ მიმართ საშინელი სისხლიანი აქტები ხორციელდებოდა, გრძნობდნენ ამ მხარდაჭერას და თანაგრძნობას. ამიტომაც თვით ებრაელები გვერდით ედგნენ ქართველობას და მათ ჭირსა და ღზინს იზიარებდნენ.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში — „ქართველი ებრაელები საქართველოში“ ავტორი მიუთითებდა, რომ ქართველ ებრაელს საქართველო ძველთაგანვე ისე უყვარდა, როგორც თავის ქვეყანა, სამშობლო და მფარველი, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ყოფნა, ცხოვრება, თავისი ქონების და ცოლ-შვილის დაფარვა. ქართველი ერი მათ ისე უყვარდათ, როგორც უვნებელი მფარველნი, პატივისმცემელნი და ვაჭრობასა და მეურნეობაში დიდი ქომაგნი. საზოგადოდ ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ვინც კი მათს ქვეყანას მიეკედლებოდა და დასახლდებოდა, იმას უფრო მეტი თავაზიანობით და პატივისცემით უმზერდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველნი ყოველთვის ზნეობრივ მოვალეობად სთვლიდნენ თავიანთ თავს, რადგანაც ქართველი ბაგრატიონები მათ შთამომავლებად მიაჩნდათ. გარდა ამისა, ქართველთ კარგად ესმოდათ ის ღირსებაც, რომ მოსე, დავით, თვით იესო, მისი დედა და ყველა მისი მოციქულიც მთლად ებრაელები იყვნენ. ესეც კარგად ესმოდათ ქართველთა და ამიტომ უფრო ანიჭებდნენ სრულ ადამიანურს ღირსებას, ამ ღირსებას ბაგრატიონებიც, რასაკვირველია უფრო აღიღებდნენ, რადგანაც მათ კარგად იცოდნენ თავიანთი შთამომავლობის ისტორია, თავიანთი თავი დაბადებისა და სახარების მეოხებით თვით ღვთისმშობლის ნათესავადაც მიაჩნდათ. ასეთი დამოკიდებულება არსებობდა ქართველთა და ებრაელთა შორის ძველთაგანვე.

და მართლაც, ზ. ჭიჭინაძისა არ იყოს, საფუძველი არა გვაქვს არ ვირწმუნოთ, რომ საქართველოში ოდითგან დამკვიდრებული ებრაელი ისეთივე ღირსეული შვილი, ისეთივე გულმზურვალე პატრიოტი იყო თავისი მეორე სამშობლოსი, როგორც ძირძველი გულიანი ქართვე-

<sup>1</sup> XIX საუკუნის 80-იან წლებში შენდება ქუთაისის სინაგოგა. იგი დასრულდა 1887 წლისთვის და ქართველმა ებრაელებმა დიდის ზეიმით გახსნა იგი. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. „აფერია“, 1888, №149.

ლი. დასტურად კმარა მიუთითოთ, რომ აღებ-მიცემობაში ღრმად ჩახედული ებრაელი ვაჭრები ხშირად სტუმრობდნენ უცხო ქვეყნებს, მაგრამ არც ერთს აზრად არ მოსვლია რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა გაეტანათ სახელმწიფოს გარეთ, თუმც ამის რეალური შესაძლებლობა გააჩნდათ. და საერთოდ, ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა ფაქტი ქართველი ებრაელის მიერ საქართველოს ლალატიისა. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც ებრაელს რუსეთში, ევროპაში სტანჯავდნენ, გმობდნენ, საქართველოში იგი უშიშრად, მშვიდობიანად იძინებდა საკუთარ ჭერქვეშ. საქართველოს მთელი არსებობის მანძილზე, როდესაც ქართველი კაცი მშვიდად ცხოვრობდა თავის ქვეყანაში, ებრაელთა ცხოვრებაც იყო უვნებელი და მშვიდი.

ქართველი ერი ყოველთვის ვალდებულად თვლიდა თავს მფარველობა გაეწია მათთვის. ამას მოითხოვდა ქართველ ებრაელთა ის დიდი ამაგი, რაც დასდეს მათ ქართული ენის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საქმეს.

მოუუხმობთ ამონარიდს ზ. ჭიჭინაძის დასახელებული შრომიდან: „როგორც ძველად დღესაც ქართველი ებრაელი ყველგან თავის დედაენად ქართულ ენას ხმარობს. არც ძველად და არც დღევანდელ ებრაელს ქართული ენის მტრობა არა ქონია და არც აქვთ, ნაცვლად მტრობის, მათ უაღრესად აქვთ ჩაქსოვილი ამ ენის სიყვარული. საქართველოს გარეშე სადაც უნდა წავიდეს ქართველი ებრაელი, იგი ქართულს ენას არსად არ დასტოვებს, მას ყველგან ამ ენაზედ ეხერხება ლაპარაკი. ამ ენით სცდილობს იგი, ამით ლაპარაკობს ყველგან, შინ, გარეთ, ვაჭრობაში და თვით სამართალშიაც...“

ოსმალეთის საქართველოში, როგორც ვთქვი, ყველგან შეირყა ქართული ენა და ქართველ მაჰმადიანთა შორის ყველგან ამოვარდა და დაივიწყეს ქართული ენა თვით ქართველ მაჰმადიანებმაც. ქართული ენა დაავიწყდათ აგრეთვე ახალციხის ქართველ მაჰმადიანებსაც. ეს ენა ყველგან იღვენებოდა, ქართველ მაჰმადიანებს აკრძალული ჰქონდათ ამ ენაზე საუბარი, ქართველები ხანდისხან შიშით ხმასაც ვერ იღებდნენ. ახალციხელი ქართველი ებრაელნი კი შინ და გარეთ ქართულ ენას თავისუფლად ხმარობდნენ და მათი მოდავე არავინ იყო, ვინ იცის იქნება ოსმალეთის გამგეობამ და სასულიერო წოდე-

ბამ არც კი იცოდა, რომ ურიები ქართულად ლაპარაკობდნენ, თორემ, ვგონებ მათთვისაც აეკრძალათ ქართული ენა. გარდა ამისა, რომ ძველ დროს, მთელს ახალციხეში ქართველ ებრაელთაგან ქართული ენა განისმოდა, იგინი ახალციხიდან მოგზაურობდნენ ფოცხოვს, ქვაბლიანს, ჩილდირის ხეობისაკენ, ჯავახეთში და ყველგან ქართველ მუსულმანებს ქართულად ელაპარაკებოდნენ.

უნდა მოვასხენოთ, რომ ზოგიერთ საშიშ ადგილებში, ქართველ მაჰმადიანთ შორის, სადაც კი ქართული ენა ძველთაგანვე შეირყა და ამოვარდა, იქაც კი ქართული ენა თუ დარჩა აქა-იქ და ქართველ მაჰმადიანებმა არ დაივიწყეს, ეს იყო ქართველ ებრაელთა შნო და წყალობა, მათ შეინახეს ქართული ენა საქართველოში!

აი თვით დღესაც შესხეთსა და ჯავახეთში, ქართველ მაჰმადიანთა შორის ალაგ-ალაგ, ქართული ენა სასტიკად არის აკრძალული. რუსის სამმართველოებში მოდიან ქართველი ბეგიები და აღიები. მასთან სოფლის გლეხნიც, მაგრამ ქართულად ხმასაც არ იღებენ, საქართველოში კი ხანდისხან ძალასაც ატანენ, რომ ქართულად ამოიღონ ხმა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, იგინი კრინტს, ხმასაც არ იღებენ ამ ენაზედ, თუმცა სახით ქართველები არიან, აგრეთვე გვართაც, მაგრამ ისლამის მეოხებით ასე არიან დაშხამულნი. ყოველ შემთხვევაში, თუ გაუჭირდათ, მაშინ კი ქართულს ენაზედ დასძრავენ ხმას. ეს ფანატიკოსი ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ოჯახებშიც კი ასე უკუღმართები და ბოროტნი არიან. ყველასთან ასე იქცევიან და მალავენ ქართულ ენას, მხოლოდ ქართველ ებრაელებთან კი ვერას აწყობენ... ახალციხის ბაზარში, ქვაბლიანს, ფოცხოვს და სხვაგანაც თუკი სადმე დღემდე თუ ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთა შორის დაცულ იქნა, ეს სულ ქართველ ებრაელთა წყალობა გახლავთ“.

ბუნებრივია, მოხმობილი მასალის ავტორის მოსაზრებას ქართველ მაჰმადიანთა შესახებ მთლიანად ვერ გავიზიარებთ, მაგრამ უდავოა, რომ უცხო ძალის მიერ ხანგრძლივმა ბატონობამ თავისი უარყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივ მოსახლეობაზე. იყო რაღაც უარყოფითიც, დასაგმობიც, მაგრამ საქართველოს ამ ნაწილში იყო გულმხურვალე, სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა დიდებუ-

ლი კოპორტაც, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდა ერის არაკეთილმოსურნე უღირს შვილთა თითოეულ ავ განზრახვას.

ამ გულიან ქართველთ მეთაურობდა დიდი ილიას თანამებრძოლი მემედ აბაშიძე. მისი შეხედულებანი თანამედროვე გადასახედიდან კვლავ ინარჩუნებენ აქტუალობას. „უცხო ძალის სამ საუკუნოვანი ტყვეობიდან დაბრუნებულ აჭარაში სწორედ აბაშიძის დარი ეროვნული მოღვაწეების ზრუნვისა და სრულიად საქართველოს მოწინავე მამულიშვილების მხარდაჭერის შედეგად გადაიდგა უდიდესი ნაბიჯი მოსახლეობის განათლების, კულტურული ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლებისთვის...“<sup>1</sup>

სწორედ ასეთი რანგის მოღვაწეთა უდიდესი ძალისხმევით მოხდა საქართველოს სამუსლიმანო და ქრისტიანულ ნაწილთა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა-გამართლება.

ვიდრე უშუალოდ ცხინვალსა და მის შემოგარენში მოსახლე ებრაელი ერის შემოქმედებით ნაწილზე განვავარძობდეთ საუბარს, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ი. დავიდის /დავითაშვილი/ მიერ ისრაელში გამოცემული მონოგრაფია „ებრაელთა ისტორია კავკასიაში“ /რუსულ ენაზე/. ნაშრომში მოძიებული და დამუშავებულია კავკასიაში მცხოვრებ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, განათლების თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ავტორი საინტერესოდ მსჯელობს ებრაელი ხალხის კავკასიელ ხალხებთან თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის შესახებ XVIII-XIX ს.ს.-ის მიჯნიდან XX ს-ის პირველი ორი ათწლეულის ჩათვლით.<sup>2</sup>

ეს ძალზედ ზოგადი საინფორმაციო შტრიხებია კავკასიის მკვიდრ ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის შესახებ. რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, ქართული წიგნის რაინდი და „ეროვნული სულის ძელქვა“<sup>3</sup> – ზ. ჭიჭინაძე, ბუნებრივია უყურა-

<sup>1</sup> ნანი გუგუნავა, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათუმი, 1997.

<sup>2</sup> დამატებით ინფორმაციისთვის ამ პრობლემათა შესახებ იხ. ი. დავიდი, ებრაელების ისტორია კავკასიაში, I-II, თელ-ავივი 1989 (რუს.).

<sup>3</sup> ასე უწოდა ზ. ჭიჭინაძეს გალაკტიონმა.

დლებოდ არ ტოვებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლე ქართველ ებრაელთ.

ჩვენ, ჩვენის მხრივ, ყურადღებას გავამახვილებთ მის მიერ ცხინვალის ქართველ ებრაელთა ყოფის, წეს-ჩვეულებებისა და სხვა დამახასიათებელ თვისებათა ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებზე.

„ცხინვალის ქართლში ცნობილ საგაჭროდ ითვლება, ქართველი ებრაელნი აქ უხსოვარს დროიდგან სცხოვრობენ, ე.ი. ძველის ძველადგანვე, თითქმის იმ დროიდან, როცა ქართლში ურიები მოვიდნენ და დასახლდნენ<sup>1</sup>... როგორც ძველთაგანვე, ისევე შემდეგშიც, ცხინვალში ქართველ ებრაელთა რიცხვი დიდი იყო, აქვსთ საკუთარი თორა. ძველთაგანვე მათ შვილებს მხოლოდ ხახმები ასწავლიდნენ. ებრაულს სწავლობდნენ ჩვეულებრივ ლოცვების გამო და მასთან ქართულსაც. ცხინვალის ქართველი ებრაელნიც ისევე სცხოვრობენ, როგორც ქართველი ებრაელნი, ენა მათი ქართულია, ხასიათები ჩვეულებრივი, ტანსაცმელი ქართული, მევახშეობა მათში ისე არ არის გავრცელებული, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ...“

იმ იმედით, რომ ჩვენს მიერ მოხმობილი მასალები ხელს შეუწყობს ქართულ-ებრაული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, ვცადეთ სამშეოზე გამოგვეტანა მცირე ფრაგმენტი ქართველ ებრაელთა შესახებ ზ. ჭიჭინაძის უზარმაზარი შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან.<sup>2</sup>

ცხინვალში მოღვაწე ქართველ ებრაელთა შესახებ მსჯელობამდე მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი თვალის გადავლევით შეგვეხედა, თუ როგორ აშუქებდა ცხინვალში გამოშავალი ერთადერთი ქართული გაზეთი ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკითხებს.

დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ ცხინვალის ქართული გაზეთი/

---

<sup>1</sup> განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს პროფ. ე. მაშისთვალისშვილი. იგი საეჭვოდ მიიჩნევს ქართლში მოსვლისთანავე ებრაელების ცხინვალში დასახლებას და ვარაუდობს, რომ „ისინი ცხინვალში უნდა გადასულიყვნენ მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ამის შედეგად დაიშალა მცხეთელ ებრაელთა ზალხმრავალი თემი. რადგან ეს პროცესი თანდათან ვითარდებოდა, ამიტომ საგარაუდოა ებრაელების დასახლება ცხინვალში, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ პუნქტებში, მოხდა IV-V საუკუნეებში“ /ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995, გვ 131/.

<sup>2</sup> იხ. ალ. მღებრიშვილი, ქართული ენის ქომანი, გაზ. „ცხინვალი“, 1999, №54, №56, №57.



„საბჭოთა ოსეთი“/ დაარსების დღიდან აქტიურად ეხმიანებოდა ერთა შორის მეგობრობისა და პატივისცემის შეგნების გაღვიძების კეთილ-შობილურ საქმეს და მთელი არსებობის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ამ ერთობ რთულ, მაგრამ იმავდროულად საპატიო მისიას.

წარსულის წიაღში ფესვგადგმული ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობა, რასაკვირველია ასახვას პოვებდა ხსენებულ გაზეთში. იგი სისტემატურად აქვეყნებს სათანადო მასალებს.<sup>1</sup>

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რაფიელ შამელაშვილი დაიბადა სოფ. ბანძაში. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლობს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის ინსტიტუტში /ხელმძღვანელი ვ. თოფურია/. აქვე მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატისა და მოგვიანებით მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. იყო ხუთსამდე სამეცნიერო შრომისა და პუბლიკაციის ავტორი, მათგან ოცდაათამდე ცალკე წიგნადაა დაბეჭდილი.

„პირად ცხოვრებაში გახლდათ უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი, სიკეთით სავსე, მართლმეტყველი და მართლმოქმედი. ეს სახიერი ადამიანური თვისებები ბეჭდლივით ატყვია მის მრავალრიცხოვან შრომას. საინტერესო მონოგრაფიები და გამოკვლევები უძღვნა მან ენათმეცნიერების ახალი დარგის, მწერლის ენის თეორიის და პრაქტიკის საკითხებს, გაამდიდრა ის მონოგრაფიებითა და გამოკვლევებით, შექმნა მიმართულების მომცემი განმაზოგადებელი ნარკვევები. დიდი ენერგია მოახმარა ქართული ენის ლექსიკის განვითარების კვლევას და თავისი ძიების შედეგები განაზოგადა „ქართული ლექსიკის“ ოთხ წიგნად გამოცემულ ფუნდამენტურ მონოგრაფიაში. პირველად გაამახვილა ყურადღება მრავალ ახალ საკითხზე, სიღრმისეულად აღწერა ქართული ლექსიკის დარგები, წარმოაჩინა ათობით იშვიათი სიტყვის წარმომავლობა და ქართველ ლექსიკოლოგთა შორის დაიმკვიდრა საპატიო ადგილი. უმდიდრესი ლექსიკური ინფორმაციით მონოგრაფია სამაგიდლო შრომად იქცა არა მარტო სპე-

---

<sup>1</sup> ჩვენს ნათქვამს ადასტურებს თონდა ცხინვალის ინსტიტუტში აღრე მოღვაწე ებრაელი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. რ. შამელაშვილი. თგი წერს, რომ ვაზ. „საბჭოთა ოსეთი“ დიდ ადგილს უთმობს ებრაელ ავტორებს. იხ. ვაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989 წ., 7X.

ციალისტთათვის, ფართო მკითხველი საზოგადოებრიობისთვისაც“ /იხ. გაზ. „სიტყვა ქართული“, 1994 წ., №8/19. ალექსანდრე ლლონტი – „მეცნიერი და პედაგოგი“. პროფ. რ. შამელაშვილი წლების მანძილზე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საგაზეთო წერილში – „შტრიხები ქართველ ებრაელთა ურთიერთობიდან“ – პროფ. რ. შამელაშვილი საინტერესოდ მიმოიხილავს ზოგიერთი სახის ქართული ან ებრაული წარმომავლობის გვარებს. კიდევ ერთხელ გულმხურვალედ ესალმება ხსენებულ ორ ერს შორის არსებულ იმ დიდ სიყვარულს, რომელიც საუკუნეების მანძილზე კვებავდა მათ ზნეობრივ თვითშეგნებას და თაობიდან თაობას გადასცემდა შეურყვნელად. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა, შევიწროვება. მიუხედავად ამისა, დიდი ნაწილი ქართველი ებრაელებისა ალექსანდრე მიწისაკენ დაიძრა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ დაივიწყეს ქვეყანა, სადაც ოცდაექვსი საუკუნე უცხოვრიათ. „ამჟამად ისრაელში ბევრი ქართველი ებრაელია საქართველოზე მლოცველი, მათი ყოველი ღონისძიება, ყოველი გაზეთი, მუზეუმი, ანსამბლი თუ ქართული დასი საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და მადლიერების ჭეშმარიტი გამოვლენაა“<sup>1</sup>.

დასახელებული საგაზეთო მასალის ავტორი ამაყად აცხადებს, რომ ამჟამად /მხედველობაში გვაქვს 1989 წ./ ისრაელში ხუთი ქართულენოვანი ბეჭდვითი ორგანო ფუნქციონირებს. არის სამი ქართული ბიბლიოთეკა, ორი ქართული თეატრი, ოცამდე ქართული ცეკვის ანსამბლი, იბეჭდება წიგნები ქართულ ენაზე, ყოველწლიურად აღინიშნება „ქართველ ებრაელთა დღე“ და ა.შ.

„ღიას, ჩვენ, ქართველ ებრაელებს, ქართველებივით გვიყვარს შოთას „ვეფხისტყაოსანი“ და ილიას „განდევილი“, აკაკის „სულიკო“ და ვაჟას „შვლის ნუკრის ნამბობი“, გალაკტიონის „მშობლიური ჩემო მიწავ“ და გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 22.IV.

<sup>2</sup> იქვე.

პროფ. რ. შამელაშვილი წერილში – „ორიოდე სიტყვა ქართველ ებრაელებზე“, წერს: „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ დევნილი ებრაელობა რუსთაველის ერმა შეიფარა, ლუკმა გაუყო, ჭირი და ღზინი გაუზიარა. ებრაელები თავს ქართველ ისრაელებად თვლიან, კიდევ მეტი, „ქართველი ეროვნებით და ისრაელად სარწმუნოებით“.<sup>1</sup>

საკუთარ შრომაში – „ებრაული წარწერები საქართველოში“/ თბ., 1971/ ნ. ბაბალიკაშვილი მიუთითებდა, რომ ებრაელებმა მიიღეს ქართული ენა დედაენად, მშობლიურ ენად. ამან განსაზღვრა სწორედ და ამიტომ იწოდებიან ქართველ ებრაელებად ის ებრაელები, რომლებიც საქართველოში დასახლდნენ.

რ. შამელაშვილი რამდენიმე სიტყვით მიუთითებს მწერალ ჰერცელ ბაზოვის ღვაწლზე. ქართველ ებრაელთა დიდებულ მემატიანეზე, რომელიც თუმცა ავჟამიანობის დროინდელი /1937/ რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა, მაგრამ ერმა არ დაივიწყა და სამუდამო ხსოვნით შეამკო ღირსეული მამისა და ღირსეული ერის შვილი. დასასრულ კი დასძენს: „ჩვენი დედაენა ქართულია. წასულ ებრაელებს მხოლოდ ამას გთხოვთ ყველაზე უფრო, არ დაივიწყოთ ქართული ენა“.<sup>2</sup>

მომდევნო, ჩვენთვის საყურადღებო მასალას ხელს აწერს ცხინვალელი ჟურნალისტი ვ. საბანაძე. იგი მოკლედ საუბრობს ცხინვალელი პოეტის აბრამ მამისთვალოვის შემოქმედების ირგვლივ მისი დეტექტიური ხასიათის რომანის – „სიკვდილის აჩრდილის“ შესახებ, რომელიც ავტორს ისრაელში დაუწერია. რომანში დახატულია ცხინვალისა და მისი შემოგარენის ადამიანების ყოფა, საერთოდ, იქნება იგი ქართველი, ებრაელი თუ ოსი.

ვ. საბანაძე სიამოვნებით იგონებს: „მე და აბრამ მამისთვალოვი ერთ ოთახში ვისხედით, როცა გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ვმუშაობდი, მერე მრეწველობისა და

---

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 7X. ჩვენს მიერ გამოყენებული ციტატის ბოლო ფრაზა – „ქართველი ეროვნებით და ისრაელად სარწმუნოებით“ – ამოღებულია გაზ. „საქართველოდან“, 1916 წ., 17.VIII.

<sup>2</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 7X.

ტრანსპორტის განყოფილებაში გადავედი და ჩვენი კაბინეტებიც დაცილდა ერთმანეთს, მაგრამ საქმიანი, სამსახურებრივი შეხვედრები, საუბრები, კამათი დღეში რამდენჯერმე გექონდა... უსაქმოდ და ფუჭად მოსაუბრეს იშვიათად ნახავდით, დილიდან საღამომდე თავჩარგული მუშაობდა წერილების გასწორებაზე.<sup>1</sup>

ჩვენ კი ჩვენის მხრივ უნდა დავსძინოთ, რომ ცხინვალელი იცხაკ მამისთვალოვი /აბრამ მამისთვალოვის მამა/, შემდეგში ცხინვალის რაზინი, ფრიად ერუდირებული და ზნემაღალი კაცი ყოფილა. მამის მიერ გაკვალული მართალი გზიდან არ გადაუხვევიათ აბრამ და თამარ მამისთვალოვებსაც. ფართო საზოგადოებრიობამ მათი საიუბილეო თარიღები აღნიშნა — რაბი იცხაკ მამისთვალოვის დაბადებიდან — 95, აბრამ მამისთვალოვის — 75, თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილის — 65 წელი. საიუბილეო დღეებს საზეიმო ელფერს მატებდა საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო. თარგმნით საქმიანობაში შეტანილი სერიოზული წვლილისთვის თამარ და აბრამ მამისთვალოვებს მიენიჭათ შექსპირის სწორუპოვარი მთარგმნელისა და კონგენიალის, სამაჩაბლოს მკვიდრის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია.<sup>2</sup>

მომდევნო /1990/ წლის გაზეთი — „საბჭოთა ოსეთი“, ქართულ-ებრაული ურთიერთობის განმტკიცების თვალსაზრისით, კვლავ მასალების სიუხვით გამოირჩევა.

ვ. საბანაძე /ფსევდ. ვ. ზვიადაური/ ბეჭდავს საინტერესო საგაზეთო წერილს — „ტობა კრიხელი“, ციკლიდან — „ისინი ცხინვალს ამშვენებდნენ“.<sup>3</sup>

მასალა საქართველოს დამსახურებულ არტისტთან, ქ-ნ თამარ გასანოვასთან გასაუბრებით იწყება. თ. გასანოვა ნაღვლიანად იგონებს, რომ პირველად ტობა კრიხელს 13 წლისა შეხვედრია. მას შემდეგ კი რამდენიმეჯერ მისი პარტნიორიც ყოფილა.<sup>4</sup> ტობა კრიხ-

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 12.IX.

<sup>2</sup> მამისთვალოვების ოჯახის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ წარმოდგენილი შრომის მომდევნო ნაწილში — „ცხინვალელი ებრაელი მოღვაწენი“.

<sup>3</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №196.

<sup>4</sup> თ. გასანოვა და ტ. კრიხელი გარკვეული პერიოდის მანძილზე ერთად მოღვაწეობდნენ ცხინვალის სახელმწიფო თეატრში, სადაც ახალგაზრდა თამარმა რამდენიმე თეატრალურ წარმოდგენაში პარტნიორობა გაუწია ტ. კრიხელს.

ელი ცხინვალის ებრაელთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარის წარმომადგენელია. იგი წერდა პიესებს, ლექსებს, საუკეთესოდ ფლობდა სცენას, უკრავდა, მღეროდა.

„სასცენო მოღვაწეობა ტობა კრიხელმა ოციან წლებში ვანო ჯავრიშვილის, გაბო მეჩითელის, იოსებ მიქელაძის საოჯახო თეატრებში დაიწყო. ამ მოღვაწეებთან ხშირად იკრიბებოდნენ ცხინვალელები, იყო სიმღერა, ცეკვა, სცენები“.<sup>1</sup> სამამულო ომის წინა წლებში ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მსახიობია. მისი ლექსების კრებული ორჯერ გამოიცა ცხინვალში.

ამავე წლის გაზეტში დასტამბულია ყოფ. სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრის ანდრე კარბელაშვილის საინტერესო მასალა – „ისტორიის ფურცლები“<sup>2</sup>.

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ქართულ პრესას, სადაც სისტემატურად შუქდებოდა სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელების ცხოვრება.

1884 წელს გაზ. „ღროება“ წერს: „ცხინვალი მღებარეობს დიდი ღიახვის კიდეზე, რომელზედაც კარგი მაღალი და მკვიდრი ზიდია აშენებული. აქ ექვსას კომლამდე მცხოვრებნი ითვლებიან, ნახევარი ნაწილი ისრაელთა გვარია, შემდეგ სომხები და ოთხმოციოდე კომლი ქართველები“.<sup>3</sup> წერილის ავტორი, ცნობილი ხალხოსანი მწერალი ს. მგალობლიშვილი გახლდათ. მისი აზრით – ცხინვალი, როგორც გვარწმუნებენ ისტორიკოსები, ძველად ყოფილა „მცირე ქალაქი, კეთილი – ჰაეროვანი, მცხოვრებელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი, გარშემო წალკოტოვან-ვენახოვანი“ /ვახუშტი, „აღწერა ქართლისა“, გვ. 252/.

სავსებით ბუნებრივია, ცხინვალელი ებრაელების სავაჭრო საქმიანობა მხოლოდ ცხინვალით არ შემოიფარგლებოდა და იგივე ს. მგალობლიშვილის თქმისა არ იყოს – ჯავის ხეობაშიც თამამად დაიარებოდნენ.

საინტერესო ცნობები აქვს მოძიებული ა. კარბელაშვილს ცხინ-

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №196.

<sup>2</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №66.

<sup>3</sup> გაზ. „ღროება“, 1884, №126.

ვალის ქართველ ებრაელთა სინაგოგის შესახებ. მისი ინფორმაციით, 1872 წლის „დროებაში“ აღწერილია ცხინვალის ებრაელთა სინაგოგა: „თეთრ სამოსელში გახვეული წვერდაგრძელებული ხახამი ზეციური წიგნით – დაბადებით აღიოდა შუა სინაგოგაში ამალღებულ ალაგ ზედ. კარგა დიდი ქვიტკირის სახლი, რომელსაც ურიები თავიანთ სალოცავს ეძახიან, თავით ბოლომდის სრულიად საესე იყო ღვთისმოყვარე ურიებითა. ზოგნი ისხდნენ /უფრო ყმაწვილები/, ეჭირათ ყველას პატარ-პატარა ებრაული წიგნები... ამით ქალებს არა აქეთ სინაგოგაში შესვლის უფლება და ამის გამო სინაგოგის კარგა დიდი დერეფანი მთლად ქალებით იყო საესე“.<sup>1</sup>

ა. კარბელაშვილი ვრცელ ადგილს უთმობს 1902 წელს ცხინვალში დატრიალებულ ტრაგედიას. ამ ამაზრზენ ფაქტს ფართოდ გამოეხმაურა მაშინდელი ქართული პრესა.<sup>2</sup> იმ პერიოდში გამოქვეყნებული მასალები თანაგრძნობის გამომხატველია ხანძრისაგან განადგურებული ებრაელების მიმართ. მთელი საქართველოს მოსახლეობა დახმარების ხელს უწვდის დაჩაგრულთ. გროვდება შემოწირულობანი, ტარდება საქველმოქმედო წარმოდგენები,<sup>3</sup> ეწყობა სხვადასხვა აქციები, საიდანაც შემოსული თანხა მიდის ცხინვალელ ებრაელთა დასახმარებლად.

ყველა დანარჩენთან ერთად, ცხინვალელი ებრაელების თამასუქებიც შთანთქა ხანძარმა, დაზარალებულნი მოთქვამდნენ: „უამისათ, ვინ რაღას მოგვაშავებსო“. პასუხად „ივერიაში“ გამოჩნდა ასეთი სიტყვები: „ამ საბუთებს გარდა არის კიდევ კიდევ შეურყეველი თამასუქი, რომელსაც სინდისს ეძახიან და ჩვენ ქართველებში ჯერ არ მოსპობილა“.<sup>4</sup>

„დროა დავანახოთ ჩვენთან შეზრდილ ძმებს და მეზობელ

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1872, №28.

<sup>2</sup> კერძოდ, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, №1879; გაზ. „ივერია“, 1902, №151, №171, 183 და ა.შ.

<sup>3</sup> წარმოდგენები იმართებოდა ქართველ სცენისმოყვარეთა ძალებით, რომლებშიც მონაწილეობდნენ: ზ. მაჩაბელი, მ. უზნაძე, კ. ნოჯია, ვ. იარალოვი, დ. ელიოზიშვილი და სხვ. მსახიობებს ფოკლმსრავე უწყობდნენ ხელს: ი. მაჩაბელი, ე. მაჩაბელი, ნ. ხულსანიშვილი და ა.შ. /ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. გაზ. „ივერია“, 1902, №183/.

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1902, №157.

ებრაელებს, რომ მათი ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაცაა და უბედურებაც აგრეთვე, შევეწინოთ, ვისაც კი რითი შეგვეძლოს“.<sup>1</sup>

ეს სიტყვები სრულიად საქართველომ გაითავისა.

საინტერესოა ქართულ-ებრაული ურთიერთობების საკითხებზე შექმნილი პროფ. რ. შამელაშვილის პუბლიკაციები — „ზოგიერთი ებრაული საკუთარი სახელების ისტორია“<sup>2</sup> და „ზოგიერთი ებრაული გვარის ისტორიისათვის“.<sup>3</sup>

ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ზოგიერთი ებრაული გვარსახელების წარმომავლობის საკითხებს, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვს ქართულ-ებრაული ენობრივი ურთიერთობების შემდგომი კვლევის საქმეში.

---

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, 1902, №156.

<sup>2</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №71.

<sup>3</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №163.

დიდი ცხინვალელი რაბინი

ათეული საუკუნეები აშორებს ებრაელ ერს იმ დღესთან, როდესაც უცხო ტომისაგან დევნილმა საქართველოს შემოაფარა თავი, ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღო, შეისისხლხორცა და გულში ჩაიკრა იგი ქართველობამ. დასრულდა გაუთავებელი დევნა-შევიწროვება, რომელიც ბედმა არგუნათ, საოცრად შეეთვისნენ მოსულნი, უხსოვარი დროიდან ბიბლიის მთარგმნელსა და ღვთის ნების აღმსრულებელ ქართველობას. ოცდაექვსმა ასწლეულმა განვლო. ოცდაექვსი საუკუნე იცხოვრეს ქართულ მიწაზე, მაგრამ მისი დაჩემება აზრად არ მოსვლიათ. პირიქით, ქართული ენის მაღლიც იცხეს და საკუთარი სულის ნაწილად იქციეს.

ამ ორი ერის უმაგალითო მეგობრობის ერთი ნათელი ფურცელთაგანი გვინდა შევახსენოთ მკითხველს.

„ვინ იყო დავიდ მენახემის ძე ბააზოვი? პატარა ცხინვალელი ებრაელი ბიჭუნა, რომელმაც თამამად, გაბედულად გააბიჯა ჩრდილოეთისაკენ, დიდი ებრაული სამყაროსაკენ, მარადიული ებრაული სინათლისაკენ, რათა დასწაფებოდა მას. დაეოკებინა ჯერ თავის თავი და შემდეგ თავისი თანატომელნი. მას თავისებურად ესმოდა რაბინების როლი და მოვალეობა ხალხის, ჯამაათის წინაშე.“<sup>1</sup>

ცხინვალში დაბადებული რაბინი დავით ბააზოვი — ებრაელთა სულიერი წინამძღოლი, განმანათლებელი და საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქობაგია ქართველი ერისა და ქართველი ებრაელობის საუკუნო ძმობისა.

რაბი დავითის ქალიშვილი ფ. ბააზოვა იგონებს: „1921 წელს ჩემი მშობლები გადმოსახლდნენ თბილისში. მამაჩემი — რაბინი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე დავით ბააზოვი ქალაქ თბილისის ებრაელთა კონგრეგაციას მიუწვევია საკულტო სამსახურში. ბინა სალოცავის პირველ სართულზე მიუციათ. ჩვენი ბინა მოთავსებული

<sup>1</sup> „სამშობლოდან სამშობლოში“, /შემდგ. გ. გვერდნითელი, გ. ბათიაშვილი, რედ. გ. ფანჯიქოძე, თბილისი, 1990, გვ. 121.



იყო დღევანდელი ლესელიძისა და რიჩინაშვილის შესახვევის კუთხეში. ჩემი ბავშვობის ადრეულ პერიოდში რიჩინაშვილის შესახვევს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ძველისძეული სახელწოდება — იერუსალიმის შესახვევი. გარეგნულად იერუსალიმის შესახვევი მეტად კოლორიტული იყო. იგი თვლიდა სულ რაღაც 12-მდე ნომერს. მაგრამ მჭიდროდ იყო დასახლებული სხვადასხვა ქვეყნიდან დევნილი ებრაელებით. იერუსალიმის შესახვევში ცხოვრობდნენ ახალციხის ებრაელები, ასევე თურქეთიდან, სპარსეთიდან თუ უკრაინიდან დევნილნი და სხვ.<sup>1</sup>

განათლების მისაღებად რუსეთს გამგზავრებული დ. ბააზოვი უახლოვდება ჰასკალის<sup>2</sup> იდეებს ნაზიარებ ახალგაზრდობას, საქართველოში მობრუნებული კი იწყებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. რაში გამოინატებოდა ამ მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი? პირველ ყოვლისა, ქართველი ებრაელობის „გამოყვანა სიბნელიდან“, რაც გულისხმობდა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას. აგრეთვე, მათ დაკავშირებას აშქენაზ<sup>3</sup> ებრაელებთან. მართალია, კონტაქტები უცხოეთში მცხოვრებ ებრაელობასთან კანტიკუნტად იგრძნობოდა XIX საუკუნის შუა წლებშიც, მაგრამ ჩვენ ძირითადად მხედველობაში გვაქვს საქართველოში ებრაელთა ვიზიტები რუსეთიდან, თუმცა ისინი უმრავლესად მაინც კოლონიზატორული, რუსიფიკატორული პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდნენ და, ამდენად, მათზე აღარ შევჩერდებით.

„დავით ბააზოვი თხემით ტერფამდე ებრაელი იყო, მეტიც — სასულიერო მოღვაწე, რაბინი. მაგრამ მისი მოღვაწეობა ვერაფრით ეტყვა სასულიერო პირის ცხოვრების ჩარჩოებში, იგი შემოქმედად, ერთი მხრივ, ზოგადქართულმა სინამდვილემ — მწერლობამ, საზოგადოებრივი აზროვნების სისტემამ და მეორე მხრივ, ქართველ ებრაელთა მძიმე ყოფამ ჩამოაყალიბა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №51.

<sup>2</sup> XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული ებრაული საგანმანათლებლო მოძრაობა.

<sup>3</sup> უცხო ქვეყნებში მცხოვრები ებრაელები.

<sup>4</sup> გ. ბათიაშვილი, „ბორტრეტი თანამედროვე ინტელიჯენში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №36, გვ. 6.

საუბარია სწორედ იმ რაბი დავით ბააზოვზე, რომელმაც უცხოეთში<sup>1</sup> გამართულ ერთ-ერთ სიონისტურ თავყრილობაზე საჯაროდ განაცხადა: „მე ჩამოვედი კავკასიის მთებში ჩაკარგული ერთი პატარა ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია საქართველო და სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა სიძულვილი, რბევა, ანტისემიტიზმი“.

არ დააყოვნა დ. ბააზოვის საქართველოსადმი სიყვარულის და მოკრძალების გრძნობით გაჯერებულმა ამ და სხვა მრავალ გამოსვლათა შედეგმაც. ნახსენებ ღონისძიებაზე შეკრებილთ დ. ბააზოვი ფრანგმა გენერალმა ლიფმონმა შემდეგი სიტყვებით წარუდგინა: „ძმებო, თქვენს წინაშე დგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან მოსული. ეს ქვეყანა შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს ყოველი ებრაელის გულში /კონფერენცია დიდის აღტაცებით ფეხზე წამოდგა. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა/. ევროპა დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას. ეს კი ქართველ ერს 2000 წლის წინეთ ჰქონდა შეთვისებული, ამის მოწმეა მცხეთის ქალაქი და მისი პრეზიდენტი /მამასახლისი/, რომელიც დაუხვდა იერუსალიმიდან გამორეკილ ებრაელებს პურმარილით, აქ ისტუმრა ძმურად და დღევანდლამდე, თუმცა ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ერში, მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა მათში შეუცვლელია.“

ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოსთქვას: „ჩვენც გვყავდა მეფეები, სამღვდელოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრადაც არ მოგვსვლიაო, ევროპის წინანდელი ძალებით დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო“. აი, ასეთია ქართველი ერი, საიდანაც ჩვენი სტუმარი ჩამოვიდა.

კრებამ საშინელი ტაშისცემა ატეხა და ხმამაღლა გაიძახოდა: „გაუმარჯოს ქართველ ხალხს, სიცოცხლე და ბედნიერება ქართველ ხალხს“. ბევრის თვალზე ცრემლი გამოჩნდა. საზოგადოება დიდხანს ვერ დამშვიდდა. გენერალმა ლიფმონმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „შვილებო! ანდერძად გქონდეთ, ვისაც რით შეგეძლოთ, იმით გამოხატეთ სიყვარული ქართველი ერისა!“.

<sup>1</sup> ახალგაზრდა ებრაელ სიონისტთა კონფერენცია ჩატარდა მაინის ფრანკფურტში 1913 წელს.

საზოგადოება კვლავ აღფრთოვანებული შეხვდა ამ სიტყვებს და უსურვა ქართველ ერს კეთილი მომავალი.<sup>1</sup>

უამრავი მსგავსი მაგალითის დასახელება ძალგვიძს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობის, ქვეყნიერებისაგან სრულიად განსხვავებული ფენომენი.

საგაზეთო წერილში — „მათი ლიტერატურული ცხოვრება“ — ბენი გურამ ბათიაშვილი საინტერესო ზოგად მიმოხილვას აკეთებს საქართველოდან ისრაელში წასული მწერლების: ცხინვალელი თამარ და აბრამ მამისთვალოვების, იცხაკ დავიდის /დავითაშვილის/, ილია პაპისმედოვის, თინა შიმშილაშვილის, სიმხა ადარის /აჯიაშვილი/ და სხვათა შემოქმედებითი მოღვაწეობის ირგვლივ

იქვე, ავტორი აანალიზებს ისრაელში გამოცემულ კრებულს დავით და გერცელ ბააზოვების შესახებ.

„ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელში გამოიცა საკმაოდ სქელტანიანი და ერთობ სოლიდური კრებული დავით და გერცელ ბააზოვების შესახებ, რომელიც გვიხატავს ამ ორი დიდი მოღვაწის მიერ განვლილ გზას. გერცელ ბააზოვის შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენი მკითხველისთვის თითქმის სრულიადაა ცნობილი, დავით ბააზოვის მოღვაწეობა კი თითქმის უცნობი გახლავთ, რადგან ის, რაც რევოლუციამდე იყო და რევოლუციის პირველ წლებშიც კი, 30-იანი წლების რეპრესიებმა გაანადგურა, ფ. ბააზოვას ძალისხმევით გამოცემულ ამ წიგნში თვალწინ წარმოგიდგებათ დიდი სასულიერო და საერო მოღვაწე დავით ბააზოვი, რომლის პოლემიკური სტატიები ქართული პრესის ფურცლებზე დღესაც ინტერესით იკითხება.

დავით და გერცელ ბააზოვების პიროვნება, შემოქმედება ძალიან მაღალ დონეზე იქნა შეფასებული ისრაელის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. მართლაც წარუშლელია ამ ორი პიროვნების როლი ქართული ებრაელობის კულტურული ფორმირების საქმეში, განუზომელია მათი ღვაწლი...“<sup>2</sup>

ღიახ, მამა-შვილმა ბააზოვებმა ომი გამოუცხადეს დამყაყებულ წეს-ჩვეულებებს, პერიოდს, როდესაც ყველაზე იაფად ქართული

<sup>1</sup> გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., №126.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №33.

კულტურის, მეცნიერების კორიფეთა და საერთოდ ინტელიგენციის ღირსება ფასობდა. ამიტომ გამოცხადდნენ რაბი დავითი და გერცე-ლი ხალხის მტრებად, ამიტომ შეიწირა ქრისტეს ასაკში მყოფი გ. ბააზოვი 37-38 წლების ტრაგედიაში. არც მხცოვანი რაბინი დაინდო ვინმემ, როგორც მწერალი მიხეილ შაფთოშვილი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ ხმა დაირხა რაბი ბააზოვი აიყვანესო. ამ ხმამ სუბსარ-ქისის ქარივით, კიდევ ერთხელ შესძრა ებრაელთა გულები ქართულ მიწაზეც... უფსკრულში ჩაიჩენა ეროვნულ სწავლა-აღზრდაზე ფიქრი... დუმილს მოეცვა ებრაელთა ენა-პირი“<sup>1</sup>.

დავით ბააზოვი ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნო-ბით ეკიდებოდა ქართულ-ებრაული ურთიერთობის საკითხებს. იგი, ღრმად მოაზროვნე ანალიტიკოსის თვალით აფასებდა ისტორიულ სინამდვილეს, თვალს უსწორებდა რეალობას და შესაბამისად, ყოველ-გვარი ეგზალტირებულობისაგან თავისუფალი დასკვნები თუ მო-საზრებები გააჩნდა.

„ქართულ ისტორიაში ვერ შეხვდებოდით იმას, რომ ქართველი ერი დესპოტურად მოპყრობოდეს სხვა ერს და ახლა საჭიროა ჩვენ ვალი გადავუნადოთ მათ მაგარი ფრაზებით, ყვირილით და ლაპარაკით კი არა, საქმით ჩვენი ეროვნება, თუკი ჩვენში შეგნება გაძლიერ-დება, არამცთუ ხელს არ შეგვიშლის ქართველი ერის სიყვარულში, არამედ ნათლად დაგვანახებს ჩვენს ვალს მათ წინაშე“ – წერდა დ. ბააზოვი გაზეთ „სამშობლოში“ /1916/.

ქართველი ებრაელები ოდითგანვე ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლები იყვნენ საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური, ეროვნული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ასე გრძელდებოდა წლების, ათწლეულების, ასწლეულების მანძილზე და ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას, მიუხედავად განსხვავებუ-ლი რელიგიური აღმსარებლობისა, არასოდეს მოსვლია აზრად მათი დაჩაგვრა, შევიწროვება.

იყო პერიოდები, როცა რუსეთსა და ცივილიზებულ ევროპაში მოსახლე ებრაელთა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ქართველი საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა ებრაელი ერი დაეცვა მთავრო-

<sup>1</sup> მის. შაფთოშვილი, დმურთი მაღლიდან იყურებოდა, გორი, 1997.

ბის ხელყოფისაგან. ცდილობდა შეექმნა მეგობრობისა და ურთიერთ-  
შემწინარებლობის ატმოსფერო. მხოლოდ ამ ვითარებაში შეიძლებო-  
და ახალი სინაგოგების მშენებლობა, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში  
ებრაელთა რბევა იყო გაჩაღებული.

1897 წელს გაიმართა პირველი სიონისტური კონგრესი. იწყება  
ებრაელთა ე.წ. ეროვნული გამოფხიზლება. როგორც ჩვენი საუკუ-  
ნის დასაწყისის პრესა იუწყება, ჩვენში ამ გამოფხიზლების ერთ-  
ერთი პირველი დამამკვიდრებელი სწორედ დავით ბააზოვი გახლ-  
დათ. კერძოდ, ია ეკალაძე წერს: „ქართველი ებრაელობა უკვე  
შედგა გამოფხიზლების გზაზე და თავის წვლილს შეიტანს ქართულ  
ცხოვრებასა და ლიტერატურაში. საქმე ნავსის გატეხვა იყო. ეს  
ნავსიც გატყდა და პირველი ჩაქურციტ რაბინმა დავით ბააზოვმა  
დაჰკრა...“<sup>1</sup>.

ბუნებრივია, ეს არ იყო იოლი გზა. დავით ბააზოვს უწევდა  
მრავალი დაბრკოლებათა გადალახვა. მას უპირისპირდებოდნენ სხვა,  
მაღალი სასულიერო პირები და დღევანდელი გადასახელიდან საკ-  
მაოდ ღიმილისმომგვრელ ბრალდებებსაც უყენებდნენ. საილუსტრა-  
ციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. რაბინ დ. ბააზოვს იმ მოტივით,  
რომ იგი სიონისტია და სურს ქართველი ებრაელები ქართველებს  
ჩამოაშოროსო, დაუპირისპირდა ქუთაისის ებრაელობის რაბინი ელუ-  
აშვილი. ელუაშვილმა ბააზოვისაგან საკმაოდ მკაფიო პასუხი მიიღო.  
„რაც შეეხება თვით სიონისტურ იდეას, უნდა მოვახსენოთ ქუთაისის  
რაბინს, რომ სიონიზმი არ არის შოვინიზმი და სრულიადაც არ  
ნიშნავს იმას, რომ ერთი ერი ჩამოშორდეს მეორეს, მეორე ერს  
სრულად და მასთან არაფერი დამოკიდებულება არ ჰქონდეს. ქართვე-  
ლ ებრაელს შეუძლია სიონისტი იყოს, მაგრამ ამასთანავე ძმურად  
ცხოვრობდეს ქართველებთან ერთად, მათ ჭირსა და ღვინის იზიარებ-  
დეს და უანგაროდ იღვწოდეს თავის კეთილ თავშესაფარ საქართვე-  
ლოს საკეთილდღეოდ“<sup>2</sup>

გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ დ. ბააზოვი ორთოდოქსი სიონის-

<sup>1</sup> გაზ. „სამშობლო“, 1915, №240.

<sup>2</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №449.

ტი<sup>1</sup> იყო. თავისივე ნაწერებში იგი არაერთგზის მიუთითებს: „მე გადაჭრით უარვყოფ თქვენი და თქვენი ამხანაგების მოსაზრებას, თითქოს ჩემი წერილები მარტო სიონისტების სააგიტაციო იყოს. გარდა ორის ან სამის წერილისა, ვერ შეხვდებით ჩემს ამდენ წერილებში სიონისტობის აგიტაციის შესახებ ვერაფერს და, იმასაც სხვათა შორის ნათქვამს. მართალია, მე ვწერდი ებრაელობის ცხოვრებიდან და მომყავდა სხვადასხვა მაგალითები მათს შესახებ, მაგრამ არასოდეს მიმიკუთვნებია რაიმე უპირატესობა სიონისტებისათვის. პირიქით, ბევრჯერ ვადიდებდი ისეთ პირებს, რომლებიც სრულიად წინააღმდეგნი არიან სიონისტებისა...“<sup>2</sup>.

დავით ბააზოვი მთელი შემართებით იბრძოდა ქართველ ებრაელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის. თავის საგაზეთო რეცენზიაში წიგნისა – „ოქროს საწმისის ქვეყანაში“<sup>3</sup> – კ. წერეთელი საინტერესოდ მსჯელობს ებრაელთა განათლების პრობლემის ირგვლივ<sup>4</sup> თუ მანამდე არსებობდა მხოლოდ ხედვები /ებრაული რელიგიური სასწავლებელი/, ახლა უკვე ყალიბდება მთელი ჯგუფები ებრაული განათლების გასაძლიერებლად. აქ ავტორი წარმოაჩენს კოვნოდან ჩამოსული რაბი ავრაჰამ ჰალევი ხვოლსონის მოღვაწეობას. სხვათა შორის, განსხვავებით ქართველ ებრაელთა მაღალი სასულიერო პირებისაგან, ხვოლსონმა თავიდანვე რეალურად შეაფასა ქართველ ებრაელთა ეროვნული განვითარების მნიშვნელობა და მხარი დაუჭირა რაბინ დ. ბააზოვს. ხვოლსონი 1906 წელს ცხინვალში აარსებს „თაღმუდ-თორას“ /ებრაული რელიგიური სკოლა/ და როგორც სასწავლებელში, ისე სინაგოგაში ფართოდ იყენებს ებრაულ ენას. ამავე ენაზე ესაუბრებოდა იგი თავის მოსწავლეებს, მათ შორის – მოზრდილებსა და ქალებს, ხოლო ნიჭიერ მოსწავლეებს აგზავნიდა ვილნიუსსა და ბრისკში.

---

<sup>1</sup> მოღვაწე, რომელიც თავისი ხალხის მომავალს /მხედველობაში გვყავს ებრაული ერი/ ხედავს არა იმ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობს, არამედ ისრაელში და ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას ამ მიმართულებით.

<sup>2</sup> გაზ. „სამშობლო“, 1916, №423, 431.

<sup>3</sup> წიგნი „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ ქართულ ენაზე დაიბეჭდა ისრაელში /ავტორი – ლილი მაგალი /ელიშაყვა-მაღალაშვილი/.

<sup>4</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №10.

მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მიუხედავად შეუპოვარი ბრძოლისა, დავით ბააზოვმა ვერ შეძლო ადგილობრივ სასულიერო პირთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა. მან ვერ შეძლო ამ ბრძოლაში გამარჯვება<sup>1</sup>. „ეს ორი წელიწადია გულნატკენი ვლაპარაკობ თქვენს წინაშე, ძმებო, მაგრამ თქვენ არ ისმინეთ სიძართლე, არ დაინახეთ ჭეშმარიტება. მიუხედავა ამისა, თქვენ მე არ გამტყუნებთ, რადგან თქვენ იმყოფებით ისეთი პირების გავლენის ქვეშ, რომელნიც ცხოვრობენ ხალხის უვიცობით, დათარეშობენ და ბატონობენ თვალუბახვეულ ხალხზე. ასეთი პირების წყალობით მთქმელი ადამიანი ყოველთვის იჩაგრება“<sup>2</sup>.

დ. ბააზოვმა გაზეთში „სამშობლო“, „სახალხო ფურცელი“ და ა.შ. გამოაქვეყნა სერია წერილებისა, რომლებშიც მსჯელობს თავისი თანამედროვე ებრაელი საზოგადოების პრობლემურ საკითხებზე.<sup>3</sup> მოვიყვანოთ რამოდენიმე მათგანს.

1915 წელს გაზ. „სახალხო ფურცელში“ დ. ბააზოვი წერს: „ქართველი ებრაელები იმდენად ვართ შეერთებულნი ქართველებთან და ისე შეთვისებულნი მათ მიერ, რომ ჩვენი დაშორება ქართველებისაგან მხოლოდ თავის მკვლევლობა იქნებოდა“<sup>4</sup>. შორს მჭვრეტელი მოაზროვნის გულის წიაღიდან ამოსული სტრიქონები დღესაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას. ებრაელ ერს დღესაც სურს ერთგულება დაადასტუროს და სიკეთის წილ სიკეთე გადაიხადოს იმ სიყვარული-სათვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე გრძნობდა ქართველები-საგან.

იმავე გაზეთის ფურცლებზე რაბი ბააზოვის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: კაი ებრაელი კაი ქართველის მოძმეა და კაი მამულიშვილიც იქნება საქართველოში და არასოდეს ნაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინტერესებს, ვიდრე ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღე ჩვენს კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულიად არ

---

<sup>1</sup> დავით ბააზოვის შესახებ ამ და სხვა საკითხების ირველივე იხ. გურამ ბათაშვილის „პორტრეტი თანამედროვე ინტელიგენში“. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №36.

<sup>2</sup> გაზ. „სამშობლო“, 1915, №355.

<sup>3</sup> იხ. თამაზ ჩხენკელი, ქართული პრესა და ებრაელთა საკითხი, თრნ. „ციცქარი“, 1990, №4.

<sup>4</sup> გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №458.

უშლის ხელს ჩემი ებრაელობა და არც ქართველობა შემიშლის ხელს, რომ დავრჩე ძველებურად ის, რაც ვარ...!

ორიოდე სიტყვით გვსურს მივანიშნოთ ებრაელთა სულიერი მოძღვრის რაბი დ. ბააზოვის იმ დიდ ღვაწლზე, რომელიც მიუძღვის ქართველი ერის ინტერესების დაცვის საქმეში, უფრო კონკრეტულად, მან უაღრესად პოზიტიური როლი შეასრულა ახალციხე-ახალქალაქ-ფოცხოვის მხარეებში მაჰმადიანთა თარეშის პერიოდში.

ვფიქრობთ, ზემოთ მოხმობილი სტრიქონების დასტურად, რუსეთის დროებითი მთავრობის, სამაჰმადიანო საქართველოს საგანგებო სამხედრო რწმუნებულის /1917-1918/ შალვა მალლაკელიძის მცირე მოგონებაც იკმარებდა.

„ქ. ახალციხის და მისი მაზრის ებრაელი მოსახლეობის სასულიერო მოძღვარს – დავით ბააზოვს – მე პირველად 1917 წლის დასაწყისში შევხვდი. ეს ფრიად ერუდირებული საზოგადო მოღვაწე და რელიგიური საკითხების ღრმა მცოდნე პიროვნება ახალციხეში მოქმედებდა იმ დროს, როდესაც თბერვლის რევოლუციამ რომანოვთა დინასტია ისტორიას ჩააბარა და რუსეთის ფარგლებში მოქცეულ ერებში დამოუკიდებლობის იდეას ფართო ასპარეზი გაუჩინა“.<sup>2</sup>

მოგონების ავტორი გულნატკენი მიუთითებს, რომ თურქი აგენტების წაქეზებით ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები შეეცადნენ სამსახური გაეწიათ ერთმორწმუნე ოსმალეთისათვის. ყველაზე მეტად აქტიურობდა სერვერ-ბეგ ათაბაგი, შვილი და მემკვიდრე ფეიზულა ფაშას, სამცხე-საათაბაგოს მფლობელისა. მან 1918 წლის პირველ დეკადაში რამდენიმეჯერ სცადა, შეიარაღებული თავდასხმების გზით, ეს ტერიტორია საქართველოსათვის მოეწყვიტა.

ასეთ მძიმე ჟამს ქართველი და სომეხი მოსახლეობისათვის საჭირო იყო მფარველი და ასეთი პიროვნება დავით ბააზოვი აღმოჩნდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მაღალ მუსლიმანურ წრეებში, განსაკუთრებით მეგობრობდა ყაზი ალი-ეფენდისთან – მაჰმადის უმაღლეს მსახურთან ახალციხესა და მის მაზრაში. რაბი დავით

<sup>1</sup> გაზ. „სასაღო ფურცელი“, 1916, №663.

<sup>2</sup> შ. მალლაკელიძის „მცირე მოგონება“ დ. ბააზოვის ქალიშვილმა ფ. ბააზოვამ ისრაელიდან გამოგზავნა. /იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №33.



ბაზოვმა უმუშალო შუამდგომლობით და პირადი ჩარევით ბევრი ქრისტიანი გამოგლიჯა სიკვდილის კლანჭებს. ბუნებრივია, ასეთ ქმედებათა გამო ადგილობრივ ებრაელებსაც ღიღება და პატივი დაუშკვიდრა.

მიუხედავად ამისა, სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა საქართველოში მეტისმეტად შეზღუდა ეროვნული და რელიგიური განათლება. იგი განსაკუთრებული სიმკაცრით ებრძოდა ყველა ერის ეროვნულ მოღვაწეთ. ტრაგიკული აღმოჩნდა ხანში შესული რაბი დავით ბაზოვის ბედიც. მისი მოღვაწეობა მიმართული ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური დონის მკვეთრი აღმავლობისაკენ, მათი რელიგიურობის გაძლიერებისაკენ, მკვეთრად უპირისპირდებოდა წითელი რუსეთის ჩვეულ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ, დ. ბაზოვისა და მისნაირ მოღვაწეთა საქმიანობა სასტიკად იქნა ჩახშობილი ახალი რეჟიმის მიერ, თუმცა, მათი ოცნება, მიმართული მშობელი ერის კეთილდღეობისაკენ არასოდეს გახუნებულა.<sup>1</sup>

ყოველგვარი ეროვნულ-კულტურული საქმიანობის აღგვის ტენდენცია ყოველდღიურად უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იგრძნობოდა და მიუხედავად ამ გარემოებისა, რას უნდა მიეწეროს, თუ არა დაუღალავ შრომას, თუ მშობელი ერის უსაზღვრო სიყვარულს ის დიდი წარმატება, რაც ამ პერიოდში მიღწეულ იქნა დ. ბაზოვის მიერ — ვიგულისხმეთ, „1925 წელს ხელისუფალთაგან საქართველოს რამდენიმე ათეული ოჯახისათვის პალესტინაში ემიგრაციის უფლების მიღება, აღნიშნულ წელსავე /მისი/ მოგზაურობა ერეც-ისრაელში საქართველოს ებრაელთა ეროვნულ-სიონისტური მისიით“.<sup>2</sup>

ოცდაექვსი ასწლეულის წინათ მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ოტებული წმინდა მიწის მოდგმა შეიტკბო საქართველომ, შეისისხლხორცა და განშორება უჭირს. დღეს კი, როდესაც ღეთის მიერ აღთქმული მიწის დედოზარი მოუხმობს ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილში შეხიზნულ უზენაესის რჩეულ ერს, მიდის, მიდის არა

<sup>1</sup> ალ. მღებრიშვილი, დიდი ცხინვალელი რაბინი გაბ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №7.

<sup>2</sup> „სამშობლოდან სამშობლოში“, შემდგ. გ. გვერდნიძე, გ. პათაშვილი; რედაქტ. გ. ფანჯიკიძე, თბილისი, 1990, გვ. 124.

იმიტომ, რომ იოლი დასათმობია ყველა და ყველაფერი, მათ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად მიჰყვებათ საუკუნეებით ნაწრობი მძაღნაფიცობის გაუსაძლისი სეველა-ნაღველი. თვალში აკიაფებული, ტკბილ-მწარე მოგონებით მოგვრილი ცრემლი საქართველოს უსაშველო სიყვარულის უტყუარი მაცნეა.

„...როცა საქართველოდან აიყრება ებრაელობა და მარადიულ იერუსალიმს მიაშურებს, როცა შენივთდება წარსული და აწმყო, შეიკვრება ისტორია და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამთლიანდება ღროთა კავშირი“, საქართველოდან დაძრული ებრაელებიც მუჭა-მუჭა გაიტანენ ქართულ მიწას, როგორც მათ ლტოლვილ წინაპრებს მოჰქონდათ ნაბუქოდონოსორისგან დარბეული იერუსალიმიდან. ორივე შემთხვევაში მშობლიური მიწის ყვილი ისმის, ორივე შემთხვევაში – სამშობლოს გაუცნობიერებელი ტკივილი“.<sup>1</sup>

ქ-ნი მანანა გიგინეიშვილის სიტყვებით გვსურს დავასრულოთ: „ქართველი ებრაელის“ ანალოგიით ჩვენს ენაში გაჩნდა „რუსი ებრაელი“, „გერმანელი ებრაელი“. ქართველმა ერმა თავისი დამოკიდებულება გაავრცელა სხვა ქვეყნებს შეხიზნულ ებრაელებზეც, ჩვენი ყოფის შესაბამისად გაიზიარა ებრაელობის ფენომენი სხვა ქვეყნებშიც. არა და ჩვენს გარდა არავის ესმის, რა შესიტყვებაა „რუსი ებრაელი“, „გერმანელი ებრაელი“. ებრაელი ებრაელია – რა შუაშია აქ რუსი ან გერმანელი? ამ ქვეყნად მხოლოდ ქართველი ებრაელია, ერთდროულად ქართველიც რომაა და ებრაელიც“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ჯ. აუიაშვილი, გამოიღვიბე ქნარო, „ივერია“ (ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი), თბილისი-ბრიუსელი, 1993, №2, გვ.76.

<sup>2</sup> აღ. მღებრიშვილი, საუკუნეებით ნაწრობი მგვობრობა, გაზ. „ლიტ. ცხინვალი“, 1998, №9.

ცხინვალი ებრაელი მოღვაწენი

„ქართველი ებრაელი იმდენად ორგანულად შეერწყა ქართულ სინამდვილეს, ქართველ ხალხთან ერთად გაიზიარა ქვეყნის ჭირვარამი, წინსვლა თუ დაცემა, რომ ძნელია მისი ცალკე გამოყოფა: ქართველი და ებრაელი ერთად იდგნენ ყოველთვის. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია: ყველა ქვეყანაში, სადაც ებრაელი იზოლირებული იყო დანარჩენი საზოგადოებისაგან, იღვევებოდა გაბატონებული კლასის სამოხელეო აპარატისა და კანონმდებლობის მიერაც კი, მათი ისტორიის დაწერა შედარებით იოლი იყო და დაიწერა კიდევ; ქართველი ებრაელების ისტორიის მკვლევარი კი აღმოჩნდა რთული ამოცანის წინაშე – გაარკვიოს სად და რა არის ქართული და სად და რა ებრაული. აქედან მომდინარეობს ებრაელთა სულიერი, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ისტორიული მასალების ნაკლებობაც“.<sup>1</sup>

ცხინვალი – საქართველოს ჯერაც მოუშუშებელი ტკივილი. მოუშუშებელი ტკივილი იმ ქვეყნისა, სადაც ქრისტიანობის გავრცელებას ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, წიგნების თარგმნა და ორიგინალური ლიტერატურის შექმნა მოჰყვა. ჩვენ დავასწართ ევროპულ რენესანსსაც და რომ არა შუასაუკუნეების მონღოლ-თურქ-სპარსთა ექვსსაუკუნოვანი თარეში, არავინ უწყის, პოლიტიკურად რა ადგილს დაეკავებდით ერთ დროს ქრისტიანობის აღმოსავლელი მედროშე და გენიალური შოთა რუსთაველის მშობელი ერი! აი, ამ წიაღში ცხოვრობდნენ ებრაელები და რა გასაკვირია, რომ ორი კულტურული ერის თანაცხოვრების უნიკალურობა აღტაცებას იწვევდეს.

ტოლერანტობა ქართველ კაცს არავისგან ესწავლება.

ხოლო სჯულთშემწყნარებლობა – ერის უმაღლესი კულტურულობის მაჩვენებელია.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ე. მამისთვლიშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ.9.

<sup>2</sup> გაზ. „ჯორის მოამბე“, 1998, 39 /223/.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისევე, როგორც სრულიად საქართველოში, ცხინვალის უძველეს ქართულ მიწაზედაც, ქართულ-ებრაული ურთიერთობა სანიმუშო სრულყოფილების მწვერვალებს ეზიარა. ეს ორი ერი თითქოს სპონტანურად შეერწყა ერთმანეთს, სულიერი ნათესაობა იგრძნო. შეიტკბო და გაიძვალრბილა ქართველობამ ოცდაექვსი საუკუნის წინათ დევნილნი. აკი მოსულნიც ქართველ ებრაელებს უწონებდნენ თავს.

გასული ურთულესი საუკუნის მკვეთრად გამორჩეულმა უარყოფითმა ტენდენციურობამ ხელი შეუშალა ებრაელი ერის ფსიქოლოგიური, მორალურ-ეთიკური რაობისა და შინაგანი სულიერი პროცესების დახვეწა-გამოსახვას. ზოგჯერ მათ კრიზისულ მდგომარეობაში უხდებოდათ არსებობა, მაგრამ ათობით საუკუნის წინათ ფესვგადგმულ მეგობრობას ყოველთვის საფუძვლად ედო გარკვეულად ჩამოყალიბებული ესთეტიკური, მაღალზნეობრივი პრინციპები. წარსული და თანამედროვე ცხოვრების სინთეზის რთულ პროცესში ვლინდება, რომ ეს პრინციპები კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას.

რასაკვირველია, მწერლობის ტალანტებმა შეძლეს ამაღლებულიყვნენ ეპოქის მთხზოვნილებათა დონეზე, უკვდავეყოთ ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის ოდითგან არსებული ის გლობალური კულტურა, დღესაც რომ სამაგალითოდ ითვლება მსოფლიოში.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს რამდენიმე ცხინვალელი ქართველი ებრაელი<sup>1</sup> შემოქმედის ღვაწლის ლოკალიზება ქართველი ერისა და სრულიად საქართველოსადმი თანადგომის, მისი ჭირისა და ლხინის ერთგული თანამოზიარის ჭრელში.

1890 წელს ცხინვალს რაბი აბრამ ხვოლესი ეწვია და ცხინვალელ ებრაელთა თხოვნით იგი ოჯახთან ერთად რჩება ცხინვალის ებრაელთა სალოცავის რაბინად.

„რაბი ხვოლესის ჩამოსვლა თავიდანვე დაეტყო ცხინვალს. გაიზარდა მლოცველთა რიცხვი. გამოცოცხლება დაეტყო თალმუდ თორას,

---

<sup>1</sup> რაც შეეხება ტერმინს — „ცხინვალელი ებრაელი“, იგი პირველად მცხეთის 1392 წლის სიგელშია მოხსენიებული /თ. ფორდანი, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897, გვ. 197/. თუმცა, როგორც ჩანს, ებრაელთა ცხინვალის ტერიტორიაზე განსახლების პროცესი ვატილებით ადრეული საუკუნეებიდან იწყება.

ადრე თუ თითო-ორიოლა თაღმიდი /მოსწავლე/დადიოდა, ახლა გაიჭედა სალოცავების დარბაზები“<sup>1</sup>

ამ პერიოდში ცხინვალში შვიდ ებრაულ სალოცავს ბეთიჰაქენესეთს<sup>2</sup> ითვლის, შესამჩნევად იზრდება ქალაქში ებრაელთა რაოდენობა. შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალში თანდათან ყალიბდება დიდ ებრაულ ცენტრად.

„1906 წელს რაბი ხვოლესის ინიციატივით ცხინვალში აშენდა პირველი იეშივა საქართველოს მასშტაბით, სადაც სწავლობდა 400-მდე ბავშვი, მათ რიცხვში – გოგონების ჯგუფიც. ცხინვალში გახდა საქართველოს ებრაელთა ერთ-ერთი ცენტრი რელიგიისა და სიონიზმის საკითხში. რაბი დროდადრო დადიოდა გორში, თბილისში, ახალციხეში, სურამში, ქარელში, მუხრანში, რათა იქაც გაეწია სათანადო ახსნა-განმარტება, რამაც განაპირობა იეშივების – თაღმიდთორების გახსნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში – ქუთაისში, კულაშში, ონში და სხვ.“<sup>3</sup>

რაბი აბრამ ხვოლესის მზრუნველობა არ მოკლებიათ ცხინვალელ თაღმიდ ხახმებს: ხახამ გაბრიელ დავარაშვილს, არონ პატარაკაციშვილს, იცხაკ მამისთვალოვს, იაკობ დავარაშვილს, მოშე ავადოლ ელიაშვილს, დავით ბააზოვს, ნათან ელიაშვილს, ხაიმ მანაშეროვს და სხვებს.

ა. ხვოლესი 1931 წელს გარდაიცვალა ცხინვალში. „1984 წელს საქართველოდან ამოსულ ებრაელთა სალოცავის ჯამაათის გადაწყვეტილებით კირიათ შარეთში ერთ-ერთ დიდ სალოცავს დაერქვა „ბეთი აბრამი“ დიდი რაბი ხვოლესის საპატივსაცემოდ“.<sup>4</sup>

ცხინვალელ ებრაელ მოღვაწეთა შესახებ საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ა. მამისთვალოვის სამწერლო შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

<sup>1</sup> თ. პატარაკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №441-442, გვ. 4.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს: 1/ თამარაშვილების, 2/ ბრეთლების, 3-4/ კრიხელების /დიდი და პატარა/, 5/ დავარაანთი, 6/ კეხანთი, 7/ ე.წ. დიდი სალოცავი.

<sup>3</sup> თ. პატარაკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №441-442, გვ.4.

<sup>4</sup> თ. პატარაკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №443-444, გვ.4.

აბრამ მაძისთვალოვი — მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, წლების მანძილზე მუშაობდა ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციაში სტილისტ-ლიტერატორად. ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ცხინვალელი ჟურნალისტი ვ. საბანაძე იგონებს: „მე და აბრამ მაძისთვალოვი ერთ ოთახში ვისხედით, როცა „საბჭოთა ოსეთის“ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ვმუშაობდი. მერე მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებაში გადავედი და ჩვენი კაბინეტებიც დაცილდა ერთმანეთს, მაგრამ საქმიანი, სამსახურებრივი შეხვედრები, საუბრები, კამათი დღეში რამდენჯერმე გვქონდა. აბრამი მართალია არც აგრონომი, არც ინჟინერი, არც მასწავლებელი იყო მაგრამ ყველა ამ პროფესიის ნიუანსებში ღრმად ერკვეოდა. წერილებს ასწორებდა არა მარტო სტილისტურად, არამედ ხშირად უხეშ ფაქტობრივ შეცდომებსაც პოულობდა. უსაქმოდ და ფუჭად მოსაუბრეს იშვიათად ნახავდით, დიდიდან საღამომდე თავჩარგული მუშაობდა წერილების გასწორებაზე“<sup>1</sup>.

ჯერ კიდევ ცხინვალში ცხოვრების დროს ა. მაძისთვალოვმა დაახლოებით შვიდი წიგნის გამოცემა მოასწრო, რომელთა შორის აუცილებელი აღნიშვნის ღირსია რომანი „ხლართები“. მწერალი მთელი შემართებით ქადაგებს ქართველი და ებრაელი ხალხების იმ ურთიერთმეგობრულ, ძმურ დამოკიდებულებას, რომელიც საუკუნეებს ითვლის. მიუთითებს, რომ ებრაელ ერს არანაკლებ შეთვისებია ქართული მიწა, არანაკლებ შეჰყვარებია ქართული სიტყვა, არანაკლებ შესტრფის ქართულ მზეს და ბუნებრივია, არც ერთ ავისმზრახველს არ დაანებებს. სწორედ ამიტომაც, რომ ქართველთა მზარდამზარ იბრძვიან ომში<sup>2</sup> ებრაელნი, საოცარ მამაცობას ამჟღავნებენ, საკუთარი სიცოცხლეც კი დაუნანებლად მიაქვთ სამსხვერპლოსთან თუკი ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვს.

აქვე უნდა ითქვას, რომ არანაკლები მუშაობა გასწია ა. მაძისთვალოვმა ისრაელის აღთქმულ მიწაზე გამგზავრების შემდეგ. იქაც რამდენიმე წიგნის ავტორი გახდა. ისრაელში შეიქმნა სწორედ „სიკვდილის აჩრდილი“. დიდი სიყვარულით, დიდი სითბოთი აღწერს

<sup>1</sup> გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 12/IX.

<sup>2</sup> იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი.

ცხინვალის, მისი მცხოვრებლების უწინდელ ყოფას განურჩევლად ეროვნებისა, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა. ეს ფაქტი საეკლესიო ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, საქართველო ზომ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს თითოეულ მნახველზეც კი და, რა გასაკვირია, რომ სამუდამო ნოსტალგიური განცდა დაუტოვა აქ, საკუთარ წილში, ცხინვალის უძველეს მიწაზე დაბადებულ, გაზრდილ ებრაელ შემოქმედს.

მათმა ოჯახმა დაახლოებით მეოთხედი საუკუნის უკან დატოვა აქაურობა, არადა ვინ არ იცნობდა ცხინვალელ იცხაკ მამისთვალოვს<sup>1</sup>, უაღრესად განსწავლულ პიროვნებას, შემდგომში ცხინვალის ებრაელობის რაბინს.

რაბი იცხაკ მამისთვალოვის დიდი ინტელექტისა და ფართო გონებრივი დიპაზონის ორიგინალური პორტრეტის შესაქმნელად მოვიხმობთ მწერალ მიხეილ შაფთოშვილის სტრიქონებს: „ახალ-გაზრდობაში ღონიერი და ქართულ ჭიდაობაში ებრაელთა ფალავანი, შემდეგ ცხინვალის რაბინი, უაღრესად გონიერი და განათლებული პიროვნება. მან შესანიშნავად იცოდა ბიბლიაც, „თალმუდიც“ და კაბალისტთა „ზოჰარ“. თითქმის ზეპირად იცოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“... მისი იდეალი იყო ილია, ვაჟა, გალაკტიონი. ქართველი მკითხველისთვისაც რომ ახლობელი გაეხადა ბიბლიური სიბრძნე, თარგმანშიც მუშაობდა და საკმაოდ შედეგიანადაც. უშიშარი კაცი, რომელსაც ყმაწვილობაში ვაჟკაცური გამოვლინებებისათვის სანაძლეო ბევრჯერ მოუგია და დაუმტკიცებია, რომ ებრაელი მხდალი არ არის, არც კომუნისტურ ათეიზმს შეშინებია და ყველაფერი უღონია იმისათვის, რომ ფესახის აგადის სიმღერები ქართულ ენაზეც აუღერებელიყო და მკითხველ-მლოცველისათვის მისი სიღიადე ნათელი გაეხადა.

1989 წელს ისრაელში ქართულ ენაზე გამოიცა რაბი იცხაკ მამისთვალოვის „საგალობელნი“ /„თეპილიმი“/. გამოცემამდე უფლის საზოტბო პოეზია საქართველოში „ფსალმუნის“ ანუ „დავითის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. რაბი იცხაკმა ებრაული „თეპილიმი“

<sup>1</sup> ცხინვალელი ებრაელობის რაბინი იცხაკ მამისთვალოვი გახლდათ მწერლისა და ჟურნალისტის აბრამ მამისთვალოვის მამა.

„საგალობელს“ უფრო შეუსატყვისა. ეს დიდი შენაძენია ამიტომ ქართული მწერლობა დიდ პატივს მიაგებს მის ხსოვნას“!

ღირსეული მამისა<sup>2</sup> და ძმის<sup>3</sup> მიერ გაკვალულ ჭეშმარიტ, ნათელ გზას დაადგა ქალბატონი თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილისა. მის თხზულებათა უდავო ღირსებას წარმოადგენს ცოცხალი ცხოვრებისეული სურათებით ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გაშუქება, როგორც გახლდათ ისრაელის ქართველი მოსახლეობის ყოფა; გულწრფელი აღწერა ყოველივე დადებითისა და იმავდროულად ყოველივე იმ სიძნელეებისა, რაც მათი ახალი ცხოვრების დასაწყისს ახლდა თან მშობლიურ მიწაზე სამუდამო სამკვიდროს პოვნისა და იქ გადასახლების პროცესში.

თ. მამისთვალოვი დაიბადა ცხინვალში 1932 წელს. დაამთავრა ცხინვალის მეოთხე საშუალო სკოლა. მოგვიანებით /1956/ დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მალე მყუდრო ოჯახი შექმნა სოხუმელ ახალგაზრდასთან და სოხუმშივე რჩება საცხოვრებლად. იქვე იწყება მისი მოღვაწეობა საქართველოს საქტელერადიოს კომიტეტის საკუთარ კორესპონდენტად აფხაზეთის ზონაში.

რა თქმა უნდა, დრამატული იყო ებრაელი ხალხის<sup>4</sup> მიერ ერთი სამშობლოს დატოვებისა და მეორე სამშობლოში გადასვლის მომენტი, მაგრამ ამ გადასვლას თან ახლდა რაღაც ამალღებული განწყობილება, აღტაცება, ეს იყო გამოვლინება იმ შეამბოხე სულისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და ისტორიული სამშობლოსაკენ დაუღალავ ლტოლვაში გამოიხატა ძალუმაღ.

ჩვენ ზემოთ ორიოდე სიტყვა ვთქვით ქალბატონზე, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი სტრიქონები: „... და მე რომ მკითხონ, ისრაელი როგორიაო, ვეტყვი ამაყად: უტურფესი და უძლიერესი ქვეყანა თუ გაგიგონიათ, სწორედ ეს არის ჩემი ერეცი!“

<sup>1</sup> მიხეილ შაფთოშვილი, ისრაელშიც ცხინვალები, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1997, №12/19/.

<sup>2</sup> ი. მამისთვალოვი.

<sup>3</sup> ა. მამისთვალოვი.

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ქართველ ებრაელებს.



დიახ, ვამაყობ, შენით ვამაყობ, ჩემო ისრაელ! ბედნიერი ვარ რომ ვისუნთქე შენი ჰაერი.

გოდების კედელს სიხარულის ცრემლი ვაწვიმე. სულმოუთქმელად დავიარე მთელი ქალაქი, დავლახე გზები მეტულიდან ეილათამდე.

ფრთხილად ვაბიჯებ შენს წმინდა და გატანჯულ მიწაზე, და მეშინია არ გატკინო ნაჭრილობები.

ვიცი, რაც გტკივა, — აქ, ამ მიწის ქვეშ განისვენებენ უწვეურულ-ვაშო ჯარისკაცები.

ვიცი, რომ გტკივა, მაგრამ რა ძალმიძს? რით მოგიშუშო მწველი იარა?...

თუ გაგიჭირდეს წამლად დაგედოს სიცოცხლე ჩემი. თუმცა... მე შენთვის მშვიდობა მინდა.

მშვიდობა შენდა, ჩემო ისრაელ! აღარ დაქუფროს ომმა ქვეყანა, აღარ გაიჭრას საძმო საფლავი.

ხმერთო ძლიერო, შენ დაიფარე ჩემი ხალხი — შენი რჩეული. დაგვეც დასტური, რომ სიცოცხლე მოვახმართ მხოლოდ შენებას.

მეც მომეც ძალა, სხვებთან ერთად მეც მათქმევიანე ალალი გუ-ლით:

„დედასავით ტკბილო ჩემო სათაყვანებლო ისრაელო, მითვალე ჩემი ხელმართალი შრომის ნაყოფი, როგორც ხარკი გულისა იმ ბედნიერებისათვის, შენთან შეყრით რომ მარგუნე ხვედრად!“<sup>1</sup>

ახლო წარსულში, ისრაელში მეოთხედი საუკუნის წინათ ასული მამისთვალოვების ოჯახის წევრების: რაბი იცხაკ მამისთვალოვის-95, აბრამ მამისთვალოვის-75 და თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილის-65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღები დიდი პატივით აღნიშნა ქართველმა და ებრაელმა საზოგადოებრიობამ. ამ სასიამოვნო ღონისძიებას ღირსებას მატებდა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, რომლის პირველი ლაურეატები მთარგმნელობით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გახდნენ აბრამ და თამარ მამისთვალოვები.

ზემომინიშნებული პრემიის ლაურეატი გახდა აგრეთვე ცხინ-

---

<sup>1</sup> თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი, ფიქრები ისრაელზე, ვაშ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1997, №12 /19/.

ვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული გერშონ წიწუაშვილიც.

გერშონ ბენ-ორენს /წიწუაშვილი/ უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ისრაელში ქართული კულტურის პროპაგანდის მნიშვნელოვან საქმეში. აქტიურ მონაწილეობას იღებს ორი ქვეყნის, საქართველო-ისრაელის კულტურული ურთიერთობის საკითხებში. „იგი აღმოსავლეთმცოდნეა. თანამშრომელი იერუსალიმის უნივერსიტეტთან არსებული ბენ-ცვის სახელობის ინსტიტუტისა, რომლის ბიბლიოთეკაშიც შექმნა ქართული ლიტერატურის ფონდი. ამიტომ ეს ინსტიტუტი ითვლება ქართველოლოგიის ოფიციალურ ცენტრად. ახლა მიმდინარეობს მასალის ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა, ზრუნავენ მის გამდიდრებაზე. აქ მოდის ყველა დაინტერესებული პირი ისრაელის ხუთივე უნივერსიტეტიდან. გერშონ ბენ-ორენი თავდადებით მუშაობს. მისი მიზანია სამეცნიერო ურთიერთობის გაფართოება; უნდა, რომ ინსტიტუტი გადაიქცეს ქართული კულტურის შესწავლის ღირსეულ ცენტრად“.<sup>1</sup>

ცხინვალის ყოფილი ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ არსებობის პერიოდში ქართულ-ებრაული ურთიერთობის განმტკიცების თვალსაზრისით გამოქვეყნებული მასალების სიუხვით გამოირჩეოდა. ამ მასალებიდან გამოვყოფთ ცხინვალელი ებრაელი პოეტის ტობა კრიხელის შესახებ გამოქვეყნებულ წერილს სახელწოდებით – „ტობა კრიხელი“ (ისინი ცხინვალს ამშვენებდნენ)<sup>2</sup> წერილი საქართველოს დამსახურებულ მსახიობთან თამარ გასანოვასთან გასაუბრებით იწყება. ქ-ნი თამარი ნაღვლიანად იხსენებს, რომ პირველად ტობა კრიხელს ცამეტი წლის ასაკში შეხვედრია.

გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ტ. კრიხელი პირველად იღებს მონაწილეობას ვ. კასრაძის ხელმძღვანელობით ცხინვალის დრამატული წრის მიერ მოწყობილ წარმოდგენაში. ამასთან დაკავშირებით ვ. კასრაძე იგონებდა: „1928 წ. ვდგამდით ჰაჯიბეკოვის მუს. კომედიას „მაშტი-იბადს“. კომპოზიტორი თათარზან ქოქოი-

<sup>1</sup> პროფ. ნოდარ ჯანაბერაძე, შილომ შვიდობერეზო, ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 201.

<sup>2</sup> აღნიშნული საგაზეთო მასალა გამოქვეყნებულია ვაზ. „საბჭოთა ოსეთში“, 1990, №196 /ავტ. ვ. საბანაძე/.

თი თამაშობდა მაშტის, ტობას შევთავაზეთ რუსთან ბეგის როლი, მან სიამოვნებით მიიღო წინადადება და ბრწყინვალე წარმატებამ ტობა სცენას დაუკავშირა. 1929 წ. გადავწყვიტეთ დაგვედგა ჰაჯიბეკოვის მუს. კომედია „არშინ მალ-ალან“. ასკერის როლს ტობა ასრულებდა, გულჩიორას – თამარ გასანოვა/13 წლის ასაკში/, სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა“.<sup>1</sup>

ტ. კრიხელი დაიბადა ცხინვალში 1906 წელს ღარიბი ხელოსნის იაკობ კრიხელის ოჯახში. 1929 წლიდან სწავლას იწყებს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრთან არსებულ სტუდიაში, 1932 წლამდე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. მომდევნო წლებში მუშაობს ცხინვალის „ღარიბკომის“ კლუბის რეჟისორად, მოგვიანებით ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობად, რეჟისორის ასისტენტად.

„ტობა კრიხელი 1937 წლიდან პარალელურად მუშაობდა თეატრთან<sup>2</sup> არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელად, სადაც ბევრი მოცეკვავე აღიზარდა.“<sup>3</sup> ტ. კრიხელი ცხინვალის ებრაელთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარის წარმომადგენელია. იგი, როგორც მრავალმხრივი შემოქმედი, წერდა პიესებს, ლექსებს, საუკეთესოდ ფლობდა სცენას, უკრავდა, მღეროდა.

„სასცენო მოღვაწეობა ტობა კრიხელმა 20-იან წლებში ვანო ჯავარიშვილის, გაბო მეჩითელის, იოსებ მიქელაძის „საოჯახო თეატრებში“ დაიწყო. ამ მოღვაწეებთან ხშირად იკრიბებოდნენ ცხინვალელები, იყო სიმღერა, ცეკვა, სცენები“.<sup>4</sup>

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ტ. კრიხელი ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მსახიობია. მისი ლექსების კრებული ორჯერ გამოიცა ცხინვალში.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> ვ. კასრაძის აღნიშნული მოგონება 1960 წელს დაიწერა, გამოქვეყნდა მოგვიანებით. იხ. გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №464-466, გვ. 4.

<sup>2</sup> იგულისხმება კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრი.

<sup>3</sup> რ. ბაქრაძე, ტობა კრიხელი, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №465-466, გვ. 4.

<sup>4</sup> ალ. მღებრიშვილი, ცხინვალელი ებრაელი მწერლები, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №11 /30/.

<sup>5</sup> იხ. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალელი ებრაელი მწერლები, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №11 /30/.

ცხინვალში მცხოვრებ ქართველ ებრაელ მოღვაწეთა შესახებ საუბრისას რამდენიმე სიტყვით შეეჩერდებით ლილი ელიშაიკოვა-მაღალაშვილზე. დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ კი წლების მანძილზე მეთხე ქართულ საშუალო სკოლაში პირნათლად ემსახურებოდა მოზარდი თაობის აღზრდის ურთულეს საქმეს. იგი უცხო ენის /გერმანული/ სპეციალისტი გახლდათ.

1994 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი სადოქტორო, უკვე იერუსალიმში. აღსანიშნავია, რომ სადოქტორო დისერტაციის ძირითადი თემა ქართველ ებრაელთა ცხოვრებას შეეხებოდა.

„საქართველოში პირველად 1988 წელს დაებრუნდი, – განაცხადებს ლ. ელიშაიკოვა-მაღალაშვილი მოგვიანებით გაზ. „ცხინვალის“ კორესპონდენტთან საუბარში, – წარსულთან შეხვედრა ყოველთვის ძნელია. მით უმეტეს, რომ მე აღარ დამხვდა ის საქართველო, რომელიც დავტოვე: თბილი, მყუდრო, წყნარი და ალერსიანი... ჩემი ვიზიტი სამსახურებრივი ხასიათისა იყო. საქმე იმაშია, რომ ამ დროისათვის უკვე დიასპორის მუზეუმში ვმუშაობ. ამ მუზეუმს დიდი არქივი აქვს, რამაც საშუალება მომცა ჩემს პირველ წიგნზე მემუშავა. წიგნს ჰქვია: „ოქროს საწმისის ქვეყანაში. ქართველ ებრაელთა ისტორია და კულტურა“. ჩემი საქმიანობით დაინტერესდა ისრაელის მუზეუმი და სწორედ მისი წარმოგზავნით აღმოვიჩნდი კვლავ საქართველოში...

რა თქმა უნდა, ამდენი ხნის განშორების შემდეგ, გვერდს როგორ აუვლიდი ცხინვალს... ეს იყო 1988 წელს. მას მერე მე ცხინვალში ვერ შევდივარ. ამის გამო დაუკმაყოფილებლობის გრძნობა თან მდევს. ზემოთ ნახსენებ წიგნში ცხინვალის სურათებიც არის შეტანილი, ცხინვალელ ქართველ ებრაელთა ცხოვრებაზეც არის საუბარი“.<sup>1</sup>

აქვე აუცილებლად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ცხინვალელი ებრაელი შემოქმედის მერი ელიშაიკოვას პიროვნებას. იგი ცხინვალში დაიბადა 1947 წლის 18 ივნისს. ცხინვალის მე-4 ქართული სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დედა უნივერსიტეტი და თავდაუზოგავი შრომა გახლდათ სწორედ იმ

<sup>1</sup> გაზ. „ცხინვალი“, 1996, №18.

აუცილებელ კომპონენტთა ნაზავი, რომელმაც ხელი შეუწყო მ. ელიშაყოვას მაღალი რანგის სპეციალისტად ჩამოყალიბებულიყო.

1968 წლიდან მოყოლებული, მ. ელიშაყოვა უფროსი მასწავლებლის რანგში თითქმის სამი ათეული წელი ემსახურა მშობლიური ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. მეუღლესთან, ნიჭიერ რეჟისორთან და გორის საპატიო მოქალაქესთან მიხილ შაფთოშვილთან ერთად იგი ყოველთვის მთელ ძალისხმევას ახმარდა ქართველი და ებრაელი ხალხების მჭიდრო კულტურულ ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებას. მის სახელს უკავშირდება გორში პირველი ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსება.<sup>1</sup>

მ. ელიშაყოვი-შაფთოშვილისა დღეს უკვე ისრაელის ადამიანთა მიწაზე ცხოვრობს და კვლავაც ჩვეული შემართებით განაგრძობს სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას.

ზემოთ ხსენებულთა გარდა, ცხინვალში ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდნენ: ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი პროფ. გარსევან კრიხელი, აბრამ კრიხელი, მორდევ შაფთოშვილი და ა.შ. არანაკლებ ნაყოფიერი იყო იმ ებრაელ მოღვაწეთა ღვაწლი, რომლებიც არ იყვნენ ცხინვალში დაბადებულ-გაზრდილნი, თუმცა საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს არ ზოგავდნენ ქართულ-ებრაული კულტურული თანაცხოვრებისა და ორ ერს შორის არსებული უზარმაზარი ლიტერატურულ-შემოქმედებითი ტრადიციების გაღრმავებისათვის. მაგალითისათვის დავასახელებდით ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგებს: პროფ. რ. შამელაშვილს, ს. ენუქიშვილს, რეჟისორსა და დრამატურგს მ. შაფთოშვილს და ა.შ.

„სამაჩაბლოში წარმოშობილმა ეთნოკონფლიქტმა ცხინვალელი ებრაელების ცხოვრებაც აურ-დაურია... რამდენად სამწუხაროა, რომ ამჟამად ცხინვალში თითქმის აღარ ცხოვრობენ ებრაელები. ისინი ქართველებთან ერთად ლტოლვილებად იქცნენ, ზოგი ისრაელში წავიდა საცხოვრებლად...<sup>2</sup> – დანანებით იუწყებოდა 90-იანი წლების

<sup>1</sup> დამატებით ინფორმაციისთვის იხ. გაზ. „ცხინვალი“, 1997, №30, გვ. 4; გაზ. „ცხინვალი“, 1999, №61, გვ. 4.

<sup>2</sup> გაზ. „შიდა ქართლი“, 1993, №3 /129/.

დასაწყისში გაზეთი „შიდა ქართლი“, ცხინვალში მცხოვრები ქართველი ებრაელების უმძიმესი ხვედრის შესახებ.

ღიას, ქართველი ებრაელები, შეიძლება ითქვას, აღარ ცხოვრობენ ცხინვალში. მათაც იძულებით, აბორიგენი მოსახლეობის მსგავსად, მიატოვებინეს მამა-პაპათა ნაფუძარი. მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი „მიწის ყივილმა“ იხმო ისრაელისაკენ, ღრმად გვწამს, არასოდეს დაიბინდება მათს ხსოვნაში საქართველო, არასოდეს დაიბინდება ცხინვალზე მოგონება, ჩვენს რწმენას კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ერთ-ერთი მათგანის, ლილი ელიშაკოვა-მაღალაშვილის /ისრაელში – ლილი მაგალი/ გულიდან ამონაწერი სტრიქონები: „მე ვერ დავივიწყებ ჩემს ბავშვობას, ახალგაზრდობას, ჩემს მეგობრებს საქართველოში. როგორ უნდა დავივიწყო ჩემი ცხინვალი, თუნდაც დამწვარი და სახეშეცვლილი. ეს ჩემი ცხოვრების წარუშლელი ისტორიაა...“<sup>1</sup>

ზემოთ ვთქვით, და კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ ქართველი ხალხი და ქართველი ებრაელობა საოცარი ჰარმონიულობით შეერწყა ერთმანეთს. ქართული ენა მათ მეორე მშობლიურ ენად ექცათ, ტკბილქართულის მაღლს ნაზიარები ებრაელნი იქაც, შორეულ ისრაელშიც არ ივიწყებენ, არ ივიწყებენ კი არა, კიდევ უფრო ღრმად ეშვებიან ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობათა ფსკერისაკენ. ქართულ ენას ასწავლიან ბავშვებს, ქმნიან ქართულ ცეკვებს, სიმღერების ანსამბლებს, გამოსცემენ ქართულ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მიზნით აარსებენ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და საზოგადოებებს<sup>2</sup> და მრ. სხვ.

სამწუხაროდ, XX საუკუნის მიწურულს ქართულ-ებრაული ლიტერატურულ-კულტურული თანაცხოვრების შესახებ აუღელვებლად საუბარი შეუძლებელია. ზემოთ ვამბობდით, რომ ცხინვალელი ქართველი ებრაელებიც მსგავსად ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა, დევნილებად იქცნენ. უმადურმა ხიზნებმა ისინიც იძულებული გახადეს დაეტოვებინათ მშობლიური სამკვიდრო და დროებითი თავშესა-

<sup>1</sup> გაზ. „ცხინვალი“, 1996, №18.

<sup>2</sup> ასეთი რამდენიმე საზოგადოება არსებობს ისრაელში, კერძოდ: „ხიდი“, „გზა“ და ა.შ.

ფარი მოეძებნათ. დიდმა ნაწილმა ისრაელს მიაშურა. ნათქვამის დასტურად ერთი ოფიციალური მონაცემის მოხმობაც იკმარება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის ცნობით, მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოში ებრაელთა რაოდენობა შემცირდა 20 583 კაცით.<sup>1</sup>

ბუნებრივია, ეს გარემოება განპირობებული გახლდათ, პირველ ყოვლისა, ცხინვალის იმდროინდელი ავჯამიანობითა და, მეორე მხრივ, ისტორიული სამშობლოსაკენ სწრაფვის გაუნელებელი სურვილით. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 444 წლიდან იწყებს ებრაელი ხალხი პირველ „ალიას“<sup>2</sup> იერუსალიმისაკენ.

ჩვენ ზემოთაც შევნიშნავდით, რომ მიუხედავად მშობლიური მიწა-წყლისაკენ დაუოკებელი ლტოლვისა, ქართველ ებრაელთა ცნობიერებაში საქართველო დიდი ხნის წინ აღიბეჭდა მეორე სამშობლოდ. ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთპატივისცემა და სიყვარულმა ღრმად გაიდგა ფესვი ისტორიულ რეალობაში. აი რას წერს ისრაელის ქართულენოვანი პერიოდული გამოცემა: „ისრაელის ქალაქებისა და რაიონების ქართველ ებრაელთა დასახლებებში შეიქმნება ქართული ენის შემსწავლელი კურსები. ამ კურსების მიზანია, ჩვენმა მომავალმა თაობამ, მშობლიურ ებრაელ ენასთან ერთად, იცოდეს თავისი წინაპრების ენაც – ქართული ენა...“<sup>3</sup>

წარმოდგენილი შრომის ბოლო ნაწილში ჩვენ შევეცდებით შევეხოთ ისრაელში ასული ცხინვალელი ქართველი ებრაელების შემოქმედებას, რომელშიც ძალუმაღ იგრძნობა უსაზღვრო სიყვარული და ასე-

---

<sup>1</sup> ა. თოთაძე, მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა (1989-2002 წლები). გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №531-532, გვ. 3.

ებრაულად „ალია“ ამბიონზე ამაღლებას ქქეა. მერე და მერე „ალიაში“ უფრო ფართო მნიშვნელობაც მიიღო. დღეს იგი ებრაელობის სამშობლოში დაბრუნებას ნიშნავს. „ისტორიულად, პირველი ალია სპარსეთის მეფე კიროსს უკავშირდება, რომელმაც საკუთარ სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა ბაბილონის ტყვეობაში მყოფ ებრაელებს“ (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. ჯ. აჯიანელი, იერუსალიმ-ბეთლემის გადასახედიდან, გაზ. „მშვიდობა ყოველთა“, 2000, №1 (108), გვ. 2-3).

გაზ. „ხიდი“ (ისრაელ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების პერიოდული გამოცემა), 1987, 4.XII.

თივე დიდი ნოსტალგია საქართველოს, განსაკუთრებით კი მშობლიური ქალაქის, ცხინვალის მისამართით.

ზემოთ ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ გამოხატავდა XX საუკუნის დასაწყისიდანვე ქართველი ებრაელობა მადლიერებას ქართველი ხალხისადმი. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებული დიდი ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის კიდევ ერთხელ დემონსტრირება.

გაზეთ „სახალხო ფურცელში“ ასეთ ცნობას ათავსებს მოშე შიმშილაშვილი ონიდან: „კაკასიის ერობის შემოღების გამო დიდი სასიამოვნო ამბავი მოხდა 21 მაისს დ. ონში. პატივცემული მოღვაწის რაბინის დ. ბააზოვის მეთაურობით 400-მდე ებრაელმა მოიყარა თავი დიდ სალოცაში, გადაიხადა ლოცვა... შემდეგ წარმოსთქვა რაბინმა დიდი თავისებური მგრძობიარე სიტყვა, უღრმესი მადლობა გამოუცხადა ქართველ ერს და დაამტკიცა ისტორიულად, რომ ქართველობას ყოველთვის კაცთმოყვარეობის დროშა ეჭირა ხელში და ამ დროშის ქვეშ ჩვენი ერიც იყო შეფარებული და ქართველნი იყვნენ დღემდის ჩვენი ერის მფარველნი და დღესაც არიანო... ბ-ნმა ბააზოვმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი სიტყვა: „უფალო მოგვასწარი საქართველოს აყვავებას, ქართველი ერის ბედნიერებას და მაშინ ჩვენც ბედნიერები ვიქნებით; ძმებო! – მიმართა მან ხალხს: ხელჩართული უნდა წავიდეთ ქართველ ერთან ერთად სამშობლო საქართველოს ასაყვავებლად და სწორედ ამით უნდა გადავიხადოთ ვალიო“.<sup>1</sup>

ასეთივე კეთილშობილური პათოსითაა გამსჭვალული დ. ბააზოვის საგაზეთო მასალა „ებრაელები და ქართველები“.<sup>2</sup>

აქვე დავძენთ, რომ დავით და ჰერცელ ბააზოვების შესახებ ერთობ საინტერესოდ მსჯელობს ლ. მაგალ-მალაშვილი ნაშრომში – „In the Land of the Golden Fleece The Jews of Georgia – History and Culture (ოქროს საწმისის ქვეყანაში საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა)“.<sup>3</sup> ავტორი სინანულით საუბრობს იმ ავბედით 1938 წლის 10 ოქტომბრის შესახებ, როდესაც მამა-შვილი

<sup>1</sup> დ. ხანაშვილი, ქართველ ებრაელთა სამადლობელი, გ. „განთავადი“, 1988, №5, გვ. 235

<sup>2</sup> დ. ბააზოვი, ებრაელები და ქართველები, ვაზ. „საქართველო“, 1916, 28.V; 29.V.

<sup>3</sup> Editors: Rachel Arbel, Lley Mgal (Magalashvili), Beth Hatefutsoth and Ministry of Defence Publishing House, Tel Aviv, 1992, გვ. 167-186.



ბაზოვეები განუკითხაობის მსხვერპლად იქცნენ. ავმა ჟამმა სამუდამოდ დაუსვა წერტილი ორი დიდი ებრაელი მოღვაწის მგზნებარე სიცოცხლეს, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართულ-ებრაულ ლიტერატურულ-კულტურული თანაცხოვრების კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარების მიმართულებით.

ანალოგიური ამაღლებული პათოსის მატარებელია შემდეგი სტრიქონები: „მივაყრდენ მხარი მხარს, ჩაკვიდეთ ხელი ხელს მას, ვისთვისაც სიტყვა, ფიცი გვაქვს მიცემული, მოუპოვოთ სამშობლოს, საქართველოს, ქართველებთან ერთად, ერთის ძალით თავისუფლება...

გაუმარჯოს იმ კუთხეს, იმ ნაწილს მსოფლიოსას, რომელმაც დედობა გაგვიწია ყველასაგან დევნილს, ყველასაგან ახირებულს მთელს შენს დევნის ხანაში.

გაუმარჯოს საქართველოს!“<sup>1</sup>

კიდევ უამრავი ნიმუშის დამოწმებაა შესაძლებელი, თუმცა ამჯერად, ვფიქრობთ, ეს არანაირ აუცილებლობასთან აღარაა დაკავშირებული. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ქართველი ებრაელობა ყოველთვის მზად იყო მხარდაჭერით გამოეხატა მადლიერება, მოეხადა ვალი ქართველი ხალხის წინაშე, მხარში ამოდგომოდა მათ ყოველგვარ დადებით ინიციატივას, კეთილშობილურ წამოწყებას, გაეზიარებინა ქართველი ერის მწუხარება თუ სიხარული და ხელი შეეწყო ქართულ-ებრაული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებისათვის.

საერთოდ, ცხინვალში საუკუნეების მანძილზე სახლობდა ებრაელი. სამუდამოდ ესხეულა მათი სახელი ცხინვალის ისტორიას. მიუხედავად ათასგვარი ძნელებლობისა, ძნელია ერთი ხელის მოსმით დაივიწყო წინაპართა განსასვენებელი მშობლიური მიწა-წყალი, მესსიერებიდან ამოიღო გამზრდელი ქალაქის სახელი და ახალ ცხოვრებას მისცე თავი. აკი წერდა კიდევ საკუთარ მოგონებებში ცხინვალელი თამარ პატარკაციშვილი: „მამაჩემი, არონ ისაკის ძე პატარკაციშვილი დაიბადა 1900 წელს ქ. ცხინვალში... როგორც თორის დიდი მცოდნე, იყო რაბი. მუშაობდა ცხინვალის სალოცავში მლოცველად და აგრეთვე ასწავლიდა თორას – თალმიდებს – მოსწავლეებს. მისი მოსწავლეები იყვნენ ამჟამად აქ მაცხოვრებელი დოქტორი

<sup>1</sup> გ. ფინსბე, მიმართვა ქართველი ისრაელებისადმი, ვაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, 15.III.

გერმონ წიწუაშვილი, დავით ბინიაშვილი, დავით და ისაკ დავარაშვილები და ბევრი სხვა... ამჟამად ახლო-ახლოს ვცხოვრობთ – ძირითადად კირიათ შარეთში. ამ დასახლებას კირიათ ცხინვალს უწოდებენ, რადგანაც ბევრი ცხინვალელები არიან“.<sup>1</sup>

ფიქრი ძველ ცხინვალზე და მისი მონატრება მხოლოდ თ. პატარაკაციშვილის ჩანაწერებში როდი გამოსჭვავის. ახლახანს ისრაელში, კერძოდ, ქალაქ ბათ-იამში გამოძვალმა ქართულენოვანმა გაზეთმა „ალიამ“ საკუთარი ფურცლები დაუთმო ცხინვალელი ქართველი ებრაელის მარინე თვალაშვილის მოგონებებს – „მადლით აღვსილნი“, რომელშიც ავტორი წერს: „მე ამ ლამაზ, მომხიბლავ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე.<sup>2</sup> ჩემი ახლო მეზობლები იყვნენ ქართველებიც და ებრაელებიც, რუსები და სომხები, ვიყავით ტყბილად, უშფოთველად, მეგობრულად. ერთად გადავიტანეთ ომის ქარიშხლიანი დღეები. ბევრჯერ შევწუხებულვართ ავადმყოფობით, შიმშილითაც, მეგობრის, ახლობლის დაკარგვით ღამეებს მწუხარებაში ვატარებდით. შინმოუსვლელთა ბედით ვიტანჯებოდით. ეს იქნებოდა ჩვენი ახლობელი, თუ ნაცნობ-მეგობარი, მაგრამ ერთად ვიყავით და არ გვეშინოდა არაფრის, გავმაგრდით.

ყოველ წელიწადს რომ არ წავიდე და არ ვნახო ჩემი მშობლიური მხარე, არ შემიძლია. თუმცა მე იქ აღარავინ აღარ მეგულება ჩემიანი, ჩემი სახლის ბაღში კი დღესაც არხევს ქარი მამაჩემის დარგულ-გახარებულ ხეხილს...“<sup>3</sup>

მ. თვალაშვილის ჩანაწერებში ვხვდებით ისეთ ცხინვალელ ქართველ ებრაელთა გვარ-სახელებს, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის დიდი ნაწილი ამ ქალაქთანაა დაკავშირებული და ვისთანაც ავტორს პირადი ნაცნობობა აკავშირებდა. კერძოდ, მორდევხ შაფთოშვილი<sup>4</sup>, ტობა კრიხელი<sup>5</sup>, აბრამ და სიმონ მამისთვალოვები<sup>6</sup>, ილუშა, მანუახ, აბრამ და სარა ბინიაშვილები<sup>7</sup> და ა.შ.

<sup>1</sup> თ. პატარაკაციშვილი, თორას ასწავლიდა თაღმიდებს, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №521-522, გვ. 7.

<sup>2</sup> იგულისხმება ქ. ცხინვალი.

<sup>3</sup> მ. თვალაშვილი, მადლით აღვსილნი, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №527-528, გვ. 2.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> მ. თვალაშვილი, მადლით აღვსილნი, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №529-530 (ნაწ. II), გვ. 4.

<sup>7</sup> იქვე.

„წელს ალუბლის, ნუშის, ატმის ყვავილობის დროს ცხინვალში წავედი. მოვინახულე კვლავ ჩემი მშობლიური ქალაქი. ისევ ისეა დანგრეული ძველი უბნები. სასაფლაოზე ვიყავი, ჩემი დედ-მამის, ძმის, ნათესაების, წინაპრების წინაშე დავიჩოქე და ცრემლები ვლვარე, როგორც ყოველთვის, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიყავი ებრაელთა სასაფლაოზე. აი აქ იყვნენ და მუდმივ ძილს მისცემოდნენ ბინიაშვილების უფროსი თაობა, კრიხელების, დავარაშვილების, შაფთოშვილების, პაპისმედოვების... მორდევ მასწავლებლის და ჩემი მერხის მეგობრის შალიკო ჯანაშვილის წინაშე მუხლი მოვიყარე, მათ გაზაფხულის ყვავილები მივართვი, გაზაფხულის შემოსვლა მიუვლოცე...“

დაღონებული დავეშვი თავქვე. აღარ დაებრუნებულვარ ცხინვალში, იქ მე უკვე აღარავინ მელოდებოდა...“<sup>1</sup>

საგულისხმოა, რომ მ. თვალაშვილის ჩანაწერებში ვხვდებით ა. მამისთვალოვს. ავტორის თქმით, მას კარგად ახსოვს ა. მამისთვალოვის ბავშვობა და სიტყბუკე. „მან ცხინვალის ქართული საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესი ცოდნაც მიიღო“.<sup>2</sup>

ა. მამისთვალოვის შესახებ ჩვენ ზემოთ გვექონდა საუბარი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ისრაელში გამგზავრების შემდეგ ცხინვალელ ჟურნალისტსა და მოღვაწეს ოდნავადაც არ განელებია მშობლიური ქალაქის სიყვარული. ჯავის ტყეების თანგაყოლილი სურნელი ხშირად გამხდარა შემდეგი სტრიქონების დაბადების საბაბი: „საქართველოვ, ჩემი ხალხის ტკბილო დედობილო, დიას, დიას, ღვიძლ დედასავით ტკბილო, უკანასკნელად გეკვრები მკერდში და ვხარობ შენი ბუნების ჯადოსნური ფერებით... მაპატიე მოულოდნელი მიტოვება, საქართველოვ! შენც ხომ დედა ხარ შენი შვილების, ხომ გალაღებდა ასწლეულებით დაკარგულთა კვლავ დაბრუნება... მეც ვუბრუნდები ჩემს ნამდვილ დედას, რომ ვეამბორო მხურვალე მკერდზე, არ დაგივიწყებ საქართველოვ. თან მიმდევს ვალი: შენი ამაგი მახსოვდეს მარად. შენც, საქართველოვ, ვალდებულად გთვლი: მაპატიო აქედან წასვლა...“<sup>3</sup>

საკუთარ შემოქმედებაში ა. მამისთვალოვი არაერთხელ ეხება

<sup>1</sup> მ. თვალაშვილი, მადლით აღესიღნო, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №535, (ნაწ. III), გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე, (ნაწ. II).

<sup>3</sup> ა. მამისთვალოვი, სიკვდილის აჩრდილი, თელ-ავივი, 1987, გვ. 269-270.

ქართველ-ებრაულ ისტორიულ მეგობრობას.<sup>1</sup> არაერთხელ შეახსენებს მკითხველს XX საუკუნის ცხინვალის ქართულ-ებრაული, ქართულ-ოსური თუ ქართულ-რუსული თბილი, ადამიანურობით გაჯერებული ურთიერთობის შესახებ.<sup>2</sup>

ზემოთ ვამბობდით, რომ მშობლიური კუთხისადმი სამუდამოდ დარჩენილი ნოსტალგია არაერთგან იმზირება ა. მაძისთვალთვის შემოქმედებაში. აღსანიშნავია, რომ ეს განცდა სრულებითაც არ არის უცხო იმავე მ. თვალაშვილისათვისაც, რომელსაც არათუ ისრაელში, აქვე, ქუთაისში ვერ გაუძლია და კვლავ და კვლავ ცხინვალს უტრიალებს გონების თვალით.<sup>3</sup>

დაბოლოს, ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ერთ მომენტზე მ. თვალაშვილის მოგონებებიდან. ავტორი ერთობ თბილად იხსენიებს ცხინვალელი აბრამ ბინიაშვილის ოჯახს.<sup>4</sup> ჩვენის მხრიდან დავსძენთ, რომ ბინიაშვილების ოჯახმა ღრმა კვალი გააელო ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიაში. კერძოდ, ა. ბინიაშვილი წლების მანძილზე ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას, ხელმძღვანელობდა განყოფილებას ცხინვალის ერთ-ერთი ქართული გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში. ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა აბრამის და-ძმა – ი. ბინიაშვილი და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი ს. ბინიაშვილი. ხაზგასმით გამოვყოფთ ამავე ოჯახის ღირსეულ წევრს ა. ბინიაშვილის ბიძას მანუახ ბინიაშვილს. მ. ბინიაშვილი იმ მოღვაწეთა შორის წარმოგვიდგენია, რომელთაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დიდი ამაგი დასდეს ცხინვალში ქართულ ჟურნალისტურ სიტყვას. ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთი. მისი ერთ-ერთი პირველი რედაქტორთაგანიც სწორედ მ. ბინიაშვილი გახლდათ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ა. მაძისთვალთა, ზიკვილის არქივი, თელ-ავივი, 1987, გვ. 269-70.

<sup>2</sup> იქვე გვ. 227, 228, 229 და სხვ.

<sup>3</sup> მ. თვალაშვილი, მადლით აღესილნო, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, 527-528, გვ. 2.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> მ. ბინიაშვილი ცხინვალის ქართული გაზეთის „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციას ხელმძღვანელობდა 1938 წლის 18 აგვისტოდან 6 ოქტომბრამდე და 1938 წლის 1 დეკემბრიდან 1940 წლის 4 თებერვლამდე. უფრო დეტალურად ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქტორების

„არსებობა ებრაელისთვის არის ებრაელად ყოფნა და არა უბრალოდ „ცოცხლად დარჩენა“. „ებრაელად ყოფნა“ თავისთავად განაპირობებს რჯულში ყოფნას, ყოველდღიურ ყოფას ანუ წესჩვეულებათა ერთგულებას, დაწესებულს იმისაგან, ვინც თქვა: „მე ვარ ის, ვინც ვარ“ – ბრძანებდა პროფ. გ. ცინცაძე.<sup>1</sup>

ზემოთ ლ. მაგალ-მაღალაშვილის ნაშრომი<sup>2</sup> ვახსენეთ. იგი არაერთ საინტერესო ცნობას მოიცავს, დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რომლებიც შესრულებულია გერშონ ბენ-ორენის<sup>3</sup>, იცხაკ დავიდის<sup>4</sup> და სხვათა მიერ. აქვე თავმოყრილია საინტერესო ფოტომასალა. მათი შინაარსობრივი ღირებულება და მაღალი პოლიგრაფიული ხარისხი უდავოდ ღირსებას მატებს ლ. მაგალის შრომას.

ფეიქრობთ, არანაკლებ საინტერესოა ამავე ავტორის სადისერტაციო შრომა – „ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა“.<sup>5</sup>

ზ. ჭიჭინაძის თქმისა არ იყოს<sup>6</sup>, „ქართველ ებრაელებს გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ქართული ენის შენახვასა და მოვლა-პატრონობაში. საქართველოს ისეთ რეგიონებში ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, სადაც დამპყრობლები ქართველებისთვის ქართულ ენას კრძალავდნენ, ებრაელობა იყო ერთადერთი ხალხი, რომელსაც ქართულ ენაზე ლაპარაკი არ ეკრძალებოდათ და ამავე ენაზე ამყარებდნენ ურთიერთობას აღნიშნული რეგიონების შეშინებულ თუ გადაგვარებულ მოსახლეობასთან. ქართველი ებრაელების ზრუნვა ქართული ენისა და კულტურის ფართო ასპარეზზე გატანისათვის, მათი ისრაელში წასვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა და იქაც ზრუნავენ ენის შენარჩუნება-შენახვისათვის თუ, იქ არსებული ქართული კულტურის ძეგლების დაცვისათვის. ყოველივე ეს კი გამოწვეულია იმით,

---

შესახებ ის. ა. მღებრიშვილი, ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ (1933-1940), სადისერტაციო მაცნე ფოლ. მუცნ. კანდ. სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999, გვ. 9-10.

<sup>1</sup> ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991, გვ. 4.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს – „In the Land of the Golden Fleece The Jews of Geprgia \_ History and Culture (ოქროს საწმისის ქვეყანაში საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა).

<sup>3</sup> იქვე, გვ. 37-70.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 71-84.

<sup>5</sup> დისერტ. (ისტ. მუცნ.კანდ.) სამეცნიერო ხელ.ლი პროფ. ვ. შამილაძე, თბილისი, 1993.

<sup>6</sup> წარმოდგენილი შრომა, გვ. 15.

რომ ქართული ენა საკუთარ მშობლიურ ენად, ხოლო კულტურის ძეგლები მშობლიური კულტურის ძეგლებად მიაჩნიათ“!

ლ. მაგალ-მაღალაშვილს ბუნებრივია, მხედველობიდან არ რჩება მშობლიური ქალაქიც და ხსენებული შრომის ფურცლებიდანაც არაერთხელ საუბრობს მის შესახებ. ავტორი ასაბუთებს, რომ XX საუკუნის ცხინვალში მოვაჭრე ებრაელთა ერთი ნაწილი, ვაჭრობასთან ერთად, აქტიურადაა დაკავებული სოფლის მეურნეობაში, უფრო კონკრეტულად, მათი ინტერესების სფეროში შედის მებაღეობა, მევენახეობა და მისთ. საინტერესოაა ნაჩვენები ცხინვალელი ქართველი ებრაელების საქორწინო წეს-ჩვეულებებისა თუ დაკრძალვის ტრადიციების<sup>2</sup> ძირითადი ნიუანსები.

ჩვენ რამდენიმე სიტყვა ვთქვით ცხინვალელ ქართველ ებრაელთა შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ ქალაქ ცხინვალის გარდა, ქართველი ებრაელები დიდი რაოდენობით იყვნენ აგრეთვე დასახლებულნი ქუთაისში, ონში, ახალციხეში... სწორედ მათი ყოფა-ცხოვრების ცალკეული ეტაპების მონოგრაფიულ შესწავლას ისახავენ მიზნად ი. დავიდის<sup>3</sup>, ნ. ელოშვილის<sup>4</sup> და სხვათა შრომები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია ქართულ-ებრაული ურთიერთობებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სავსებით ვეთანხმებით ა. ბათოშვილის მოსაზრებას – ებრაელი ერი – ეს არის ცოცხალი საზოგადოებრივი ორგანიზმი, რომელიც ოთხი ათასი წელია იბრძვის სიცოცხლისა და განვითარებისათვის. იგი არც ერთ დროში არ გაყინულა, არ გაქვავებულა დიდი დროის მანძილზე, არ შემოზღუდულა ჩინური კედლით, არ გაუწყვეტია კავშირი სხვა ერებთან, არასოდეს ჩაურაზავს ეროვნული სულის კარი ისე, რომ მის კერაში არ შეედწია სხვა ცივილიზაციათა გავლენას, არ გაენათებინა მისი ყოველი კუთხე-კუნჭული. პირიქით,

<sup>1</sup> ლ. მაგალის დასახ. შრ., გვ. 126.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 38, 66, 124 და ა.შ.

<sup>3</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ლ. ელიშაიას – ებრაული რელიგიურ-ეთნოგრაფიული ტრადიციები ქართველ ებრაელთა სხვადასხვა თემში, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) შრომათა კრებული, გორი, 1999, გვ. 163-179.

<sup>4</sup> ა. დაიდი, ნაწერები, იერუსალიმი, 1976.

<sup>5</sup> ნ. ელოშვილი, ქართველი ებრაელები საქართველოში და ისრაელში, თელ-ავივი, 1975.

იგი მუდამ მზად იყო მათთან საპაექროდ, ებრძოდა მათ გავლენას და იმავდროულად, იგი საკუთარ კულტურას ასაზრდოებდა სხვათა მნიშვნელოვანი ღირებულებებით...<sup>1</sup>

მიუხედავად თქმულისა, ვერაფრით გავიზიარებთ იმავე ავტორის (ა. ბათოშვილის) აზრს – თითქოს „ებრაელი ხალხის ერთგულმა და ჭკუმატიტმა შვილებმა თავისი ხალხის ორიათსწლიანი ცხოვრების მატიანე შექმნეს, მაგრამ თავად ხალხი, ებრაელი ერი ყველა ქვეყანაში განიცდიდა გენოციდს და უაღრესად მძიმე ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა“.<sup>2</sup>

ბუნებრივია, გვესმის, თუ რა მძიმე გზის გავლაც არგუნა განგებამ ებრაელ ერს, მაგრამ, ვფიქრობთ, ყოველთვის, როდესაც საკუთარ სამშობლოში ქართველი კაცი თავს მშვიდად გრძნობდა და მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება ეძლეოდა, ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ქართულ-ებრაული ათეულობით საუკუნოვანი ურთიერთობების კვლავ გაღრმავებისათვის. ასეთი სანიმუშო კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ ჯერ კიდევ 1913 წელს ფრანკფურტიდან გადასძახა მსოფლიოს რაბი დ. ბააზოვმა.<sup>3</sup>

ჩვენს ნათქვამს ადასტურებს ბრძენი ილიას სტრიქონები: „ძვირად სადმე შეთვისებთან ურიები სხვა ხალხს, როგორც ქართველებს შეეთვისნენ...“<sup>4</sup>

ადეკვატურ მოსაზრებას ავითარებს პროფ. ე. მაძისთვალისშვილიც: „მას შემდეგ, რაც ებრაელს ფეხი დაუდგამს ქართულ მიწაზე, იგი მის ნამდვილ სამშობლოდ ქცეულა, ვერ დაეასახელებ თუნდაც ერთ საბუთს, შექმნილს საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, რომელიც ებრაელთა შევიწროების რაიმე ცნობას შეიცავდეს. ქართველი ებრაელი ქართველი ქრისტიანის ბედს იზიარებდა“.<sup>5</sup>

საგულისხმოა, რომ თვითონ ა. ბათოშვილიც დასახელებულ ნაშრომში მოგვიანებით დასძენს: „აი, უკვე ოცდაექვსი საუკუნეა ებრაელები საქართველოში ქართველი ხალხის გარემოცვაში ცხოვრობენ. ამ

<sup>1</sup> ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991, გვ. 10-11.

<sup>2</sup> ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991, გვ. 182.

<sup>3</sup> წარმოდგენილი შრომა, გვ. 26-27.

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1888, 98.

<sup>5</sup> ე. მაძისთვალისშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995, გვ. 3.

პერიოდის განმავლობაში ებრაელებს არ განუცდიათ დევნა და რბევა, ჩვენ, ებრაელებს არ მოგვეპოვება არც ერთი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ებრაელებს აყრილი გვქონდა მოქალაქეობრივი უფლებები, ან გვაკვიწროვებდნენ, რათა უარი გვეთქვა ჩვენს სარწმუნოებაზე... ქართველი ხალხის ღვთისაგან მომადლებული ხალასი გონება, კაცთმოყვარე გული, საქართველოს მიწა-წყალი, მადლი და ბარაქა უძვირფასესი განძეულია. ვიშეორებ, ქართველი ერის ფენომენი ღვთიური მოვლენაა და იგი სპეციალისტების განსჯის საგანი უნდა გახდეს“.<sup>1</sup>

ჩვენ ვსაუბრობდით ქართულ-ებრაული თბილი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. დასასრულ, ყურადღების გამახვილება გვსურს არანაკლებ საინტერესო დეტალზე, რომელიც კიდევ ერთი ხაზგასმაა ქართველთა და ქართველ ებრაელთა უპრეცედენტო ძმობისა.

ქართულ-ებრაულ ოცდაექვსსაუკუნოვან თანაცხოვრებას XIX საუკუნის მეორე დეკადაში, ანუ ქართული დემოკრატიული პრესის გარიჟრაჟზევე კიდევ ერთი ქომაგი და მხარდამჭერი გამოუჩნდა. ეროვნული ჟურნალისტიკა ყოველთვის სათუთად ეპყრობოდა ორ ერს შორის კეთილ ტრადიციად დამკვიდრებულ პოზიტიურ ურთიერთგანწყობას.<sup>2</sup>

ამ მიმართულებით საინტერესოდ მსჯელობს შ. წიწუაშვილი: „ქართული პრესა თავისი ინტერნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე აღშფოთებას ვერ მალავდა რუსეთის იმ გაზეთების მოქმედების გამო რომელნიც არა მხოლოდ მალავდნენ ებრაელებთან რაიმე კავშირს, არამედ ოფიციალურად ქადაგებდნენ ანტიებრაულ პროპაგანდას“.<sup>3</sup>

ზემოხსენებულ შრომაში შ. წიწუაშვილი ძირითადად ეყრდნობა XIX და XX საუკუნის წინა წლების ქართულ პერიოდიკას, განიხილავს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ცალ-

<sup>1</sup> ა. ბათუაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 379-380.

<sup>2</sup> მაგ. გაზეთი „თერია“, 1891, №81; 1902, №141, 1904, №260; თ. „კვალი“, 1898, №9, 1899, №4 და ა.შ.

<sup>3</sup> შ. წიწუაშვილი, ანტიემპიტიზმი და ქართული საზოგადოებრიობა, თბილისი, 2001, გვ. 43-44.



სახად უარყოფით დამოკიდებულებას ანტისემიტიზმის მიმართ, იძლევა ანტისემიტიზმის წარმოშობის მიზეზების შესახებ მათი შეხედულებების ანალიზს.

ქართული პერიოდიკა ყოველთვის გაგებით ეკიდებოდა ებრაელი ხალხის პრობლემებს და ეს კეთდებოდა არამხოლოდ დედაქალაქში. ნებისმიერი ანტიებრაული გამოხდომის წინააღმდეგ ებრაელ ხალხს შეეძლო არა მარტო საპასუხო მოსაზრების გამოთქმა ცალკეული გამოცემების ფურცლებიდან, არამედ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოებიც გააჩნდა სამართლიანობის აღსადგენად. მისასაღმებელია, რომ ამგვარი გამოცემები დედაქალაქს მიღმა რეგიონებშიც არსებობდა.

ჩვენი ქვეყნის რეგიონებში ებრაელთა ინტერესების დამცველი პერიოდული პრესის არსებობას ადასტურებს გაზეთი „ხმა ებრაელისა“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში. იგი პირდაპირ მიუთითებდა: „ხმა ებრაელისა“ იბრძვის ჩვენი ხალხის თვითმოქმედებისა და აღორძინებისათვის, ეცდება მისცეს მკითხველს სრული სურათი თანამედროვე მსოფლიო ებრაელობის ცხოვრებისა. „ხმა ებრაელისა“ გააცნობს მკითხველებს საქართველოს ებრაელობის ცხოვრების ყველა მოვლენებს, გამოეხმაურება ყველაფერ მას, რაც აღელვებს ებრაულ აზრსა და გრძნობას. გაზეთში მოთავსებული იქნება წერილები იუდაიკიდან, ისტორიიდან, რელიგიიდან, ებრაული ლიტერატურიდან და სხვ.“<sup>1</sup>

არც ისე შორეულ წარსულში გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნებული სტრიქონებით დავასრულებთ, სტრიქონებით, რომლებიც ებრაელი ხალხის და არამარტო მისი, სულიერი კრელოს ფორმულირებად მიგვაჩნია: „უფალო შენს სახელს ვენაცვალე, ყველა შენს გაჩენილს დაუყენე ბედნიერი, მშვიდობიანი, უდარდელი შემოდგომა, ყველა ოჯახი გაახარე თავისი შთამომავლით. გვაკმარე ძაძები, ცრემლი, ცეცხლი, ვაება, ობლობა, ქერივონრობა...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> გაზ. „ხმა ებრაელისა“, 1850, №3, გვ. 1.

<sup>2</sup> ჩ. ლეზიშვილი, განკითხვის, მონანიების დღეები, გაზ. „თბილისი“, 1992, 5.X. გვ. 5.

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ბრძანებდა,<sup>1</sup> რომ საქართველოს ებრაელთა ცხოვრების შესწავლა საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ. ვფიქრობთ, იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული კულტურის, ქართველი ხალხის სხვა სტუმარ ერებთან ურთიერთობის, ლიტერატურულ-კულტურული თუ საგანმანათლებლო თანაცხოვრების არანაკლებ საინტერესო ისტორიისთვისაც. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ჩვენ ვცადეთ რამდენიმე სიტყვა გვეთქვა ცხინვალის მკვიდრი, შემოქმედი ქართველი ებრაელების შესახებ. ამ ორი ხალხის მეგობრული, ლიტერატურულ-კულტურული თანამშრომლობის თვალსაზრისით არსებული ფაქტების საფუძველზე ხაზი გაგვესვა ცხინვალური ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის. როგორც ვნახეთ, ეს ურთიერთობა არაერთ საინტერესო ნიმუშს მოიცავს.

რა თქმა უნდა, არა გვაქვს პრეტენზია, რომ სრულად და ამომწურავად წარმოვაჩინეთ აღნიშნული საკითხი, მაგრამ ეს მცდელობა ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით წარმოებული მეცნიერული კვლევისა და ამ მომენტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, საინტერესოა.

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1996, გვ. 252.

## **For the History of Literary - Cultural Development in Tskhinvali in XX-th century**

### **RESUME**

In this work there is discussed a fragment of the literary-cultural life of Tskhinvali in XX-th century. Concretely, the facts of Georgian-Lewish cultural life of the given period are gathered and analysed here.

In the second part of XIX-th century, at the beginning of Georgian democratic press, another supporter and defender of Georgian. Lewish life appeared. The national journalism always treated softly to the positive interrelation inculcated as the kind tradition between these two nations. For example, the proper materials were often published in the newspapers ~Iveria~, ~Kvali~, ~Khma Ebraelisa~ and etc.

Later, the only Georgian newspaper of Tskhinvali, from the day of its establishment actively responded to the noble affairs of awakening the consciousness of friendship and respect between the nations. During the period of its existence it devotedly served this difficult but at the same time the valid mission. The deep-rooted Georgian. Lewish relationship certainly reflected in the newspaper mentioned above, which systematically published suitable materials.

Many centuries separate the Lewish nation from the day, when persecuted by foreign tribe, sought shelter to Georgia. Georgians received them with usual hospitality. Twenty-six centuries lived they in Georgia, but it didn't occur them to lay claim to it. On the contrary, they felt the mercy of the Georgian language and it became the part of their souls.

One of them was the rabbi Davit Baazovi, born in Tskhinvali, who was the spiritual leader of lews, enlightener and well-known public figure, the defender of Georgian. Lewish perpetual brotherhood.

The patterns of Georgian - Lewish literary-cultural relationship

take the proper place in the given work. Some nuances of creative inheritance of Jewish creative intellectuals in Tskinali such as: A. Khvilesi, A. Patarkatsishvili, I. Mamistvalovi, I. Davarashvili, N. Eliashvili, D. Baazovi, H. Vaazovi, A. Mamistvalovi, T. Mamistvalovi-Kerurashvili, G. Tsitsuashvili (Ben-Oren), T. Krikheli, G. Krikheli, M. Shaposhvili and others take very important places.

Unfortunately, ethnoconflict arisen in Tskinali, embroiled the life of Jews... It's significant to say that nowadays Jews don't live in Tskinali any more, They became refugees as Georgians. Some of them went to Israel.

In conclusion we'll say that the Tskinalian Jews feel the great love and great nostalgia, especially the nostalgia of their home-town Tskinali and this is felt from their creative works day by day.

*Мгебришвили Александр*

## **Из истории литературно-культурной жизни Цхинвали XX века**

### **РЕЗЮМЕ**

В труде рассмотрен один эпизод из литературно-культурной жизни Цхинвали XX века. В частности, собраны и проанализированы материалы грузино-еврейских культурных взаимоотношений.

Во второй половине XIX века грузинско-еврейского двадцати...векового сосуществования или, как говорят, на „заре“ грузинской демократической прессы пораз..... еще один ..... Национальная журналистика всегда бережно относилась к этим добрым традициям (Материалы подобного характера систематически публиковалась в газетах „Иверия“, „Квали“, „Хма ебраелиса“ и др.

Позднее, с первого дня основания единственная цхинвальская газета активно способствовала благородному делу межнациональной дружбы, верно служила этой общей почетной миссии. В вышеперечисленных газетах систематически публиковались материалы об укреплении связей грузинского и еврейского народов.

Десятки веков отделяют еврейский народ от того дня, когда вытесненные чужими племенами евреи нашли приют в Грузии. С обычной гостеприимностью принял их грузинский народ. 26 веков жили они на грузинской земле, считая Грузию своей второй родиной. Одним из ярких представителей еврейской общины был уроженец Цхинвали раввин Давид Баазов – духовный предводитель евреев, известный общественный деятель, поборник дружбы между двумя народами.

В представленной работе значительное место отводится

грузино-еврейским литературно-культурным взаимоотношениям, в частности на первый план выдвинута роль цхинвальской интеллигенции в лице А. Хволеси, А. Патаркацишвили, Н. Элиашвили, Д. Баазов, Г. Баазов, А. Мамиствалов, Т. Мамиствалов-Кезерашвили, Г. Цицуашвили, Т. Крихели, Г. Крихели, М..... и других.

К сожалению, конфликт в Самачабло сказался и на жизни евреевб многие из которых вместе с беженцами-грузинами покинули Цхинвали, а некоторые переселились в Израиль. Но, даже находясь на своей исторической земле, они продолжают любить Грузию и Цхинвали – свою малую родину.

## გამოცემული ლიტერატურა

- ლ. ასათიანი, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949.
- ვ. აჯიაშვილი, გამოილვიძე ქნარო, „ივერია“, (ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი), თბილისი-ბრიუსელი, 1993.
- ვ. აჯიაშვილი, იერუსალიმ-ბეთლემის გადასახედიდან, გაზ. „მშვიდობა ყოველთა“, 2000, №1 (108).
- დ. ბააზოვი, ებრაელები და ქართველები, გაზ. „საქართველო“, 1916, 28.V.
- დ. ბააზოვი, ებრაელები და ქართველები, გაზ. „საქართველო“, 1916, 29.V.
- გ. ბათიაშვილი, პორტრეტი თანამედროვე ინტერიერში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №36.
- ა. ბათოშვილი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბილისი, 1991.
- რ. ბაქრაძე, ტობა კრიხელი, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №465-466.
- ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1996.
- გაზ. „გორის მოამბე“, 1998, №39 (223).
- გაზ. „დროება“, 1880, №214.
- გაზ. „დროება“, 1882, №25.
- გაზ. „დროება“, 1876, №103.
- გაზ. „დროება“, 1877, №208.
- გაზ. „დროება“, 1877, 9.III.
- გაზ. „დროება“, 1884, №126.
- გაზ. „დროება“, 1872, №28.
- გაზ. „ივერია“, 1887, №186.
- გაზ. „ივერია“, 1892, №240.
- გაზ. „ივერია“, 1893, №195.
- გაზ. „ივერია“, 1899, №251.
- გაზ. „ივერია“, 1900, №116.
- გაზ. „ივერია“, 1889, №186.
- გაზ. „ივერია“, 1901, №206.
- გაზ. „ივერია“, 1888, №149.

- გაზ. „ივერია“, 1902, №151.  
 გაზ. „ივერია“, 1902, №171.  
 გაზ. „ივერია“, 1902, №183.  
 გაზ. „ივერია“, 1902, №137.  
 გაზ. „ივერია“, 1902, №156.  
 გაზ. „ივერია“, 1888, №98.  
 გაზ. „ივერია“, 1891, №81.  
 გაზ. „ივერია“, 1902, №141.  
 გაზ. „ივერია“, 1904, №260.  
 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №33.  
 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №10.  
 გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №51.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 22.IV.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 7X.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1989, 12.IX.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №196.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, № 66.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №71.  
 გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №163.  
 გაზ. „სამშობლო“, 1915, №126.  
 გაზ. „სამშობლო“, 1915, №240.  
 გაზ. „სამშობლო“, 1916, №423.  
 გაზ. „სამშობლო“, 1916, №431.  
 გაზ. „სამშობლო“, 1915, №355.  
 გაზ. „საქართველო“, 1916, 17.VII.  
 გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №449.  
 გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915, №458.  
 გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, №663.  
 გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №465-466.  
 გაზ. „შიდა ქართლი“, 1993, №3 (129).  
 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897, №339.  
 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900, №1256.  
 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №1958.



- გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903, №1879.
- გაზ. „ცხინვალი“, 1996, №18.
- გაზ. „ცხინვალი“, 1997, №30.
- გაზ. „ცხინვალი“, 1999, №61.
- გაზ. „ხიდი“ (ისრაელი-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა საზოგადოების პერიოდული გამოცემა), 1987, 4.XII.
- გაზ. „ხმა ებრაელისა“, 1850, №3.
- ნ. გუგუნავა, მეხედ აბაშიძე განმანათლებელი, ბათუმი, 1997.
- ი. დავიდი, ებრაელების ისტორია კავკასიაში, I-II, თელ-ავივი, 989 (რუს.).
- ი. დავიდი, ნაწერები, იერუსალიმი, 1976.
- ლ. ელიშაკოვა, ებრაული რელიგიურ-ეთნოგრაფიული ტრადიციები ართველ ებრაელთა სხვადასხვა თემში, ცხინვალის სახელმწიფო ედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. ვორში) შრომათა კრებული, გორი, 999.
- ნ. ელოშვილი, ქართველი ებრაელები საქართველოში და იერუსალიმში, თელ-ავივი, 1975.
- მ. თვალაშვილი, მადლით აღვსილნო, გაზ. „შიდა ქართლი“, 003, №527-528 (ნაწ.I).
- მ. თვალაშვილი, მადლით აღვსილნო, გაზ. „შიდა ქართლი“, 003, №529-530 (ნაწ.II).
- მ. თვალაშვილი, მადლით აღვსილნო, გაზ. „შიდა ქართლი“, 003, №535 (ნაწ. III).
- ა. თოთაძე, მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა (1989-2002 წლები), გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №531-32.
- გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი – გამომცემელი, ბუკინისტი, ბილისი, 1983.
- ჩ. ლეზგიშვილი, განკითხვის, მონანიების დღეები, გაზ. „თბილი-ი“, 1992, 5X.
- ლ. მაგალ-მალალაშვილი, ქართველ ებრაელთა ტრადიციული ყოფა » კულტურა (დისერტ. ისტ. მეცნ.კანდ.), სამეცნ. ხელ-ლი, პროფ. შამილაძე, თბილისი, 1983.

ე. მამისთვალისშვილი, ქართველ ებრაელთა ისტორია, თბილისი, 1995.

ა. მამისთვალისშვილი, სიკვდილის აჩრდილი, თელ-ავივი, 1987.

თ. მამისთვალისშვილი-კეზერაშვილი, ფიქრები ისრაელზე, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1997, №12 (19).

ი. მარუშაძე, ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, თბილისი, 1903.

შ. მალაქელიძე, მცირე მოგონება, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, №33.

ვ. მგელაძე, მოგონებანი, ნაწ. II, პარ. 1972.

ა. მღებრიშვილი, ილია ებრაელთა შესახებ, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №6(25).

ა. მღებრიშვილი, ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ (1933-1940), სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999.

ა. მღებრიშვილი, ქართული ენის ქომავნი, გაზ. „ცხინვალი“, 1999, №54 (ნაწ. I).

ა. მღებრიშვილი, ქართული ენის ქომავნი, გაზ. „ცხინვალი“, 1999, №56 (ნაწ. II).

ა. მღებრიშვილი, ქართული ენის ქომავნი, გაზ. „ცხინვალი“, 1999, №57 (ნაწ. III).

ა. მღებრიშვილი, ცხინვალელი ებრაელი მწერლები, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №11 (30).

ა. მღებრიშვილი, დიდი ცხინვალელი რაბინი, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №7.

ა. მღებრიშვილი, საუკუნეებით ნაწრთობი მეგობრობა, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, № 9.

თ. პატარკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №441-442.

თ. პატარკაციშვილი, მოგონებები ცხინვალზე, გაზ. „შიდა ქართლი“, 2002, №443-444.

თ. პატარკაციშვილი, თორას ასწავლიდა თალმიდებს, გაზ. „შიდა ქართლი“, 2003, №521-522.

- თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, ტფილისი, 1897.
- ჟურნ. „კვალი“, 1898, №9.
- ჟურნ. „კვალი“, 1899, N 4.
- სამშობლოდან სამშობლოში, (შემდგ. გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი, რედ. გ. ფანჯიკიძე), თბილისი, 1990.
- გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. XII, თბილისი, 1975.
- გ. ფიჩხაძე, მიმართვა ქართველი ისრაელებისადმი, გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, 15.III.
- მ. შაფთოშვილი, ღმერთი მალლიდან იყურებოდა, გორი, 1997.
- მ. შაფთოშვილი, ისრაელშიც ცხინვალელები, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1997, №12 (19).
- ვ. ჩიქოვანი, ქართველი მწიგნობარი, თბილისი, 1990.
- თ. ჩხენკელი, ქართული პრესა და ებრაელთა საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1990, №4.
- შ. წიწუაშვილი, ანტისემიტიზმი და ქართული საზოგადოებრიობა, თბილისი, 2001.
- ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, (შემდგ. მ. ლებანიძე), თბილისი, 1984.
- ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბილისი, 1990.
- დ. ხახანაშვილი, ქართველ ებრაელთა სამადლობელი, ჟურნ. „განთიადი“, 1988, №5.
- ნ. ჯანბერიძე, შალომ მეგობრებო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 20.I.
- In the Land of the Golden Fleece, The Jews of Georgia – History and Culture (ოქროს საწმისის ქვეყანაში საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა), Editors: Rachel Arbel, Lily Magal (Magalashvili) Beth Haterfursith and Ministru of Defence Publishing House, Tel Aviv, 1992.

## პირთა საკომპლექსო

- მ. აბაშიძე – 15
- ს. ადარი – 27
- ლ. ასათიანი – 7
- დ. ბააზოვი – 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 37, 48, 55.
- ფ. ბააზოვა – 24, 32
- ჰ. ბააზოვი -19, 27, 48
- ნ. ბაბალიკაშვილი – 19
- გ. ბათიაშვილი – 24, 25, 27, 31, 33
- ა. ბათოშვილი – 53, 54, 55, 56
- რ. ბაქრაძე – 43
- გ. ბენ-ორენი (წიწუაშვილი) – 42, 49, 53
- ნ. ბერძენიშვილი – 58
- ა. ბინიაშვილი – 50, 52
- დ. ბინიაშვილი – 49
- ი. ბინიაშვილი – 50, 52
- მ. ბინიაშვილი – 52
- ს. ბინიაშვილი – 50, 52
- თ. გასანოვა – 20, 42, 43
- ვ. გაფრინდაშვილი – 11
- გ. გვერდწითელი – 24, 33
- მ. გიგინეიშვილი – 34
- ი. გომართელი – 11
- ნ. გუგუნავა – 15
- გ. დავარაშვილი – 37
- დ. დავარაშვილი – 49
- ი. დავარაშვილი – 37, 49
- ი. დავიდი – 15, 27, 53, 54
- მ. ელიაშვილი – 37
- ნ. ელიაშვილი – 37
- დ. ელიოზიშვილი – 22
- ლ. ელიშაკოვა-მადალაშვილი (მაგალი) – 43, 44, 46, 48, 53, 54
- მ. ელიშაყოვა – 44, 45

- ნ. ელოშვილი – 54
- ს. ენუქიშვილი – 45
- მ. თვალაშვილი – 50, 51, 52
- ა. თოთაძე – 47
- ვ. იარალოვი – 22
- გ. იმედაშვილი – 7
- ი. იმედაშვილი – 7
- ა. კარბელაშვილი – 21, 22
- ვ. კასრაძე – 42, 43
- ა. კრიხელი – 45
- გ. კრიხელი – 45
- ი. კრიხელი – 43
- ტ. კრიხელი – 21, 42, 43, 50
- ჩ. ლეზგიშვილი – 57
- გ. ლეონიძე – 18
- ნ. ლორთქიფანიძე – 11
- ე. მამისთვალისშვილი – 16, 35, 55
- ა. მამისთვალისი – 19, 20, 37, 38, 40, 41, 50, 51
- თ. მამისთვალისი-კეზერაშვილი – 20, 40, 41
- ი. მამისთვალისი – 20, 37, 39, 40, 41
- ს. მამისთვალისი – 50
- ხ.ა. მანაშეროვი – 37
- ი. მარუშაძე – 7
- შ. მალლაკელიძე – 32
- ე. მაჩაბელი – 22
- ზ. მაჩაბელი – 22
- ი. მაჩაბელი – 22
- ს. მგალობლისშვილი – 21
- ვ. მგელაძე – 7
- გ. მერიტელი – 21, 43
- ი. მიქელაძე – 21, 43
- ა. მღებრიშვილი – 5, 16, 33, 43, 52
- კ. ნოდია – 22
- ი. პაპისმედოვი – 27

- ა. პატარკაციშვილი – 37
- თ. პატარკაციშვილი – 37, 49, 50
- თ. ჟორდანია – 36
- შ. რუსთაველი – 18, 35, 39
- კ. საბანაძე – 19, 20, 38, 42
- ნ. სულხანიშვილი – 22
- კ. ტაბიძე – 6, 15, 18, 39
- მ. უზნაძე – 22
- გ. ფანჯიკიძე – 24, 33
- კ. ფირსაძე – 49
- კ. ფშაველა – 18, 39
- თ. ქოქოთი – 42
- ა. ლლონტი – 18
- რ. შამელაშვილი – 17, 18, 19, 23
- კ. შამილაძე – 53
- მ. შაფთოშვილი – 28, 39, 40, 45
- მორდ. შაფთოშვილი – 45, 51
- თ. შიმშილაშვილი – 27
- მ. შიმშილაშვილი – 48
- კ. ჩიქოვანი – 10
- ნ. ჩხეიძე – 11
- თ. ჩხენკელი – 11, 31
- გ. ცინცაძე – 53
- ა. წერეთელი – 18
- კ. წერეთელი – 30
- შ. წიწუაშვილი – 56
- ი. ჭავჭავაძე – 4, 5, 39, 55
- ზ. ჭიჭინაძე – 3, 6, 7, 8, 9, 12, 13, 15, 16, 53
- დ. ხანანაშვილი – 48
- ა. ხვოლეძი – 36, 37
- მ. ჯავახიშვილი – 11
- კ. ჯავრიშვილი – 21, 43
- შ. ჯანაშვილი – 51
- ნ. ჯანბერიძე – 42

# შინაარსი

## თავი I

საუქუნეებით ნაბრძნავი მებრძოლობა ..... 3

## თავი II

დიდი ცხინვალელი რაბინი ..... 24

## თავი III

ცხინვალელი ებრაელი მოღვაწენი ..... 35

REZUME ..... 59

PEZIOME ..... 61

გამოყენებული ლიტერატურა ..... 63

აირთა საქმიანობი ..... 68